საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 27 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 143 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 143

მეტად გრილი
კინემო
მინიონი
27, 28, 29, და 30
ივნისს

პირველად ტფილისში მხოლოდ ჩვენს თეატრში

კონან დოილის რომანით
ახალ ახალი თავგადასავალი ცნობილი ჯაშუშის
შერლოკ ხოლმსისა
სურათში
„თეთრი ფურცელი ქაღალდის საიდუმლოებანი"
დედექტიური დრამა 4 აქტათ.

პროგრამის გარეშე
გადაღებულია ნატურიდან ცეკავშირის მიერ გ. ი. გოგიტიძის ხელმძღვანელობით
აძერბეიჯანის ფრონტი
სურათი 2 ნაწილათ, მდიდარი მრავალი მომენტებით, რომლებიც ნათლათ ახასიათებენ საყვარელ სამშობლოს მცველებს საქართველოს მამაც ჯარს და სახალხო გვარდიას.
ფოილის, წითელი და სადახლოს ხიდზე და სხვ. (2064—1—1)

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

სახალხო გვარდიის გურიის საოლქო შტაბი მთელი ოლქის გვარდიელებთან ერთად აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობთ მათი ძვირფასი ამხანაგის და თავდადებული მებრძოლის გვარდიელი

**მათე ტუღუშის**

ოსეთის ფრონტზე მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილს.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ 27 ივნისს, დღის 12 ს. დიდუბეში გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი კავშირის წევრის ჟურნ. „განათლების" ყოფილი რედაქტორის და ცნობილი პედაგოგის

**ლუარსაბ ბოცვაძის**

სულის მოსახსენებლად. (2066 1—1)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარი რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ხ. ქუთათელაძე.** (ნ. 15—10)

ღამის 3 საათამდე!! ღამის 3 საათამდე!!

რესტორანი

## „არწივი"

კვირას, ივნისის 27 გრანდიოზული

**საღამო--კაბარე.** (ნ. 1—1)

## სიღნაღის სამაზრო ერობა

ამით აცხადებს, რომ 28 თიბათვიდან გაიხსნება

**ახტალის საავადმყოფო**

საავადმყოფოში მუშაობენ 2 ექიმი და ფერშლები. საექიმო მოვლა უფასოა. ფასი გამთბარი ვანისა 150 მანეთი, ბუნებრივი ვანისა 30 მანეთი. ოთახი ორი საწოლით 100 მანეთი დღეში. საავადმყოფოსთან გამართულია ბუფეტი, სეზონი გაგრძელდება 20 სექტემბრამდე.

გამგეობა. (2068 2—1)

## სახელოვნო ცენტრი

თანახმად სახელოვნო ცენტრის პრეზიდიუმის დადგენილებისა ამით ვაუწყებთ მხატვრებს, რომ სახელოვნო ცენტრის ყოველთვიურ ჟურნალის ყდისა და ცენტრის მარკა—ბეჭდვისათვის გამოცხადებულია

## კონკურსი

**კონკურსის პირობები:**

1. ყდისათვის მხატვრულად დაწერილი უნდა იყოს სიტყვა—**ხელოვნება.**
2. მარკისათვის—სიტყვები: **სახელოვნო ცენტრი** და რაიმე ემბლემა. თვითონ მარკა ბეჭდის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.
3. უკანასკნელი ვადა საკონკურსო ნიმუშებისა და სადევიზო კონვერტების წარმოდგენისა არის 15 ივლისის 1915 წლის ნაშუადღევის პირველი საათი.
4. საუკეთესო ნიმუშებს ჟიურის მიერ მიეცემა 3 პრემია: I—4.500 მან., II—2.500 მან., III—1.500 მან.

საკონკურსო ნიმუშები და სადევიზო კონვერტები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: თფილისი, დამფუძნებელი კრების ქუჩა, 5, მსახიობთა კავშირი—კ. ანდრონიკაშვილს. (ნ. 1—1)

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 129)

ამ კვირიდან კლუბში ყოველ დღე დაუკრავს

## სიმებიანი ორკესტრი

**ცნობილ დირიჟორის ი ხ ი ლ ჩ ი კ ი ს ლოტბარობით.**

ყოველ დღე ლოტო, სინემატოგრაფი, კონცერტები და წარმოდგენები. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. (ნ. 1—1)

## არტისტიული საზოგადოების თეატრი

დრამა „ტარტო"

ოთხშაბათს 30 ივანობისთვეს **გრანდიოზული საღამო** ოთხშაბათს 30 ივანობისთვეს

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ

მონაწილეობას იღებენ ქალბტონი **ე. ტ. ჟიხარევასა**, არტისტები „ტარტოს" დასისა, სახელმწიფო თეატრის არტისტები და სიმფონიური ორკესტრი.

საღამოს პროგრამა: 1. **„ელექტრა"** გოფმან სტალისა. 2. **საკონცერტო განყოფილება**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

## სახელმწიფო თეატრი

კვირას, 27 ივნისს, 1920 წელს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელი განყოფილება გამართავს პირველათ თფილისში დიდ სახალხო ვოკალურ-ინსტრუმენტალურ კონცერტს, რომელზედაც მოხდება საგვარდიო მარშების შეჯიბრება-არჩევანი.

**1 განყოფილება.**

| | |
|---|---|
| 1) ამირანი სიმფონიური პოემა | კ. ფოცხვერაშვილისა. |
| 2) უვერტიურა „თამარ ცბიერიდან" | მ. ბალანჩივაძისა. |
| 3) ბალეტი | მისივე. |

შეასრულებს სახალხო გვარდიის გაძლიერებული საკონცერტო ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის და ვ. მიზანდარის ლოტბარობით.

**2 განყოფილება.**

ამ განყოფილებაში საგანგებო ჟიურის დამსწრე საზოგადოების მიერ მოხდება მთავარ შტაბისადმი საკონკურსოდ წარმოდგენილი თორმეტი მარშის შესრულება და ამათგან სახალხო გვარდიისათვის მუდმივი მარშის არჩევანი, რომლის ავტორს საჯაროთ უნდა მიესაჯოს მთავარი შტაბის მიერ დანიშნული ათი ათასი მანეთის (10,000 მან.) ჰონორარი.

მარშებს შეასრულებს იგივე გაძლიერებული საკონცერტო ორკესტრი ვ. მიზანდარის ლოტბარობით.

საკონკურსო ჟიურის შემადგენლობა გამოქვეყნებული იქნება 27 ივნისისათვის პრესის საშუალებით.

**3 განყოფილება.**

ქართული ხალხური სიმღერები და კილოები ხმა შეწყობილი გვარდიაში და ჯარში გასავრცელებლათ (კონკურს გარეშე).

**ა) მარტო ორკესტრისათვის.**

| | |
|---|---|
| 1) ლოცვა ქართველი ერისა | კ. ფოცხვერაშვილისა. |
| 2) იამბიკო (ქართული ჰიმნი 12 საუკ.) | მისივე. |
| 3) ლაშქრული (ქართული საომარი სიმღ.) | მისივე. |
| 4) მგზავრული | ზ. ფალიაშვილისა. |
| 5) ალიფაშა | კ. ფოცხვერაშვილისა. |
| 6) მხედრული (პირველი ქართული მარში) | მისივე. |

**ბ) გუნდისა და ორკესტრისათვის.**

| | |
|---|---|
| 1) მრავალ ჟამიერ | ზ. ფალიაშვილისა. |
| 2) მაყრული | მ. ბალანჩივაძისა. |
| 3) ძლევის სიმღერა | კ. ფოცხვერაშვილისა. |
| 4) კუჩხა | მისივე. |
| 5) საომარი სიმღერა (ცხენოსნური) | მისივე. |
| 6) დელი-დელა | მისივე. |

შეასრულებს გაძლიერებული ქალ-ვაჟთა გუნდი დივიზიონის ორკესტრის მოძახილით კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში. (ნ. 3—3)

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 127—129).

**კვირას, 27 ივნისს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს ათი წლის (1910—1920) არსებობის აღსანიშნავად გაიმართება მეორე**

**ს ა ზ ე ი მ ო ს ა ღ ა მ ო**

## დიდი საბალზო სეირნობით

**1. ალების ცეკვა**

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმ. ი. იმედაშვილისა.

**2. რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი**

შარჟი 1 მოქ. ს. წერეთლისა. მონაწილეობენ: ქ-ნი გ. ივერელი, ა. ავალიანი, ბ-ნი ვ. მატარაძე, ს. ილორელი, ს. წერეთელი, ვ. გიგოშვილი, ნ. წერეთელი, კ. რიჟამაძე.

**3. საკონცერტო განყოფილება**

ქართულ საოპერო სტუდიის მომღერლები: ბ. დ. აკოფაშვილი, ქაშაკაშვილი, ა. ჰუმბურიძე შეასრულებენ ქართულ რომანსებს. **თამარა შავერზაშვილის** აკომპანიმენტით მისივე ახალ რომანსებს შეასრულებენ დ. აკოფაშვილი და ჰუმბურიძე. **ნინო წერეთელი** ახალგაზრდა ბალერინა იცეკვებს ევროპიულად აღმოსავლეთურად თარზე და როიალზე.

**4. მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი.**

**ბ ა ლ შ ი ს ე ი რ ნ ო ბ ა**

ბუფეტი, მუსიკა, გასართობები: პტიშვო, ყვავილებით ვაჭრობა, აუქციონი, ფოსტა და სხვა. ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, ბალში უფასოდ შევა. სეირნობა დაიწყება 5 საათიდან, გასტანს ნაშუადღევის 2 საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზე. რეჟისორი **ვ. მატარაძე.** გამგე კომისიის დავალებით **ვ. ავალიანი.** მეთარე **მ. დევაძე.** როიალთან **თამ. შავერზაშვილი.** (ნ. 1—1)

## ქალაქ ფოთის ხე-ტყის მრეწველნი

ქარხნების პატრონები და აგრეთვე მოიჯარადენი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ არა ჩვენზედ დამოკიდებული მიზეზების გამო იძულებული შევიქენით ქარხნები დაგვეხურა. ამიტომ ვაცხადებთ საყოველთაო საყურადღებოთ, რომ ჩვენი

## ქარხნები დახურულია და მუშაობა შეწყვეტილია 19 ივნისიდან ამა 1920 წლისა.

მექარხნენი: სერგო ჰყონია, გიორგი და ემილიანე თელიები, აპოლონ იმნაძე, ერასტო მოისტრაფეიშვილი, პორფილე სიორიძე, კლემენტი ჯორბენაძე, გიორგი საბახტარიშვილი, იასონ საბახტარიშვილი, ერმალო ბოლქვაძე, სამსონ ჰყონია, ერასტო პაჰკორია, ექვთიმე კილურაძე, ქიშვარდი კეკელიძე, თედორე გუჯაბიძე და გიორგი თედორაძე.

მოიჯარადრენი: იორდანე დობორჯგინიძე, იოსებ მახარაძე და კალენიკე ჩხარტიშვილი. (2065—1—1)

## მეაბრეშუმეთა, ეროგათა, კოოპერატივთა და კერძო ვაჭართა საყურადღებოდ.

ვისაც სურს ნედლი პარკის **ოცდა ოთხ საათში** გამოხჩობა და თან საუკეთესოდ გამოხმობა

ვისაც სურს **მაღალის ღირსების** გამხმარი პარკის მიღება და სხვებთან ყველასთან შედარებით

## ბევრად იაფად

**დაუჯდეს პარკის გამოხმობა**

ვისაც სურს წმინდათ **გაარჩიოს** პარკი სხვადასხვა ჯურად, მარსელის ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით, მთავრობის ჩასაბარებლად

**იმან უეჭველად მხოლოდ**

ჩვენი მექანიკური პარკის **გამოსახჩობ- გამოსახმობი** ქარხნით უნდა ისარგებლოს

რომელიც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვაა და დღეში ორი ათას ფუთამდე ნედლ პარკს ახმობს. ეს ქარხანა ჯერდება სულ მცირე მოგებით, ადმინისტრატიული ორგანიზაცია მარტივი აქვს და აღდგენა ქარხნის ძვირად არ უზის. ეს ქარხანა **სხვა ქარხანაში** არ აურიოთ. ეს ქარხანა მდებარეობს სამტრედიაში, **ოპირის ქუჩაზე**, სალგურის პირდაპირ, დეპოს მახლობლად, სადაც შეგიძლიათ ნახოთ დაწვრილებით რიპობების გასაცნობათ თვით ხელმძღვანელი ამ ქარხნის **სამსონ ახათიანი.** წერილების და დეპეშების მისამართი: სამტრედია სამსონ ახათიანს. (1994—3—3)

## სადურგლო და საზარაზო სახელოსნო ქალაქთა კავშირისა

იღებს დამზადებას ყოველგვარ ხის საგნებისა, სახელდობრ: სასკოლო, საკანცელარიო, საოჯახო მხატვრულ ავეჯეულობისა, ზღუეს (паркетъ) და კარ-ფანჯრის მოწყობილობისა. სახელოსნო იღებს აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების მოწყობას. ცნობების მიღება და შეკვეთა შეიძლება ქალაქთა კავშირის სატეხნიკო და წარმოებათა განყოფილებაში პუშკინის ქუჩაზე, № 3. ტელ. № 8—10. (ნ. 4—3)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, (რუსთაველის პროსპექტი № 9 სასტუმრო „ორიანტის ქვეშ)".

**საქართველოს კონსტიტუციის პროექტი**

შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ. პროვინციაში წიგნის მაღაზიებს შეუძლიანთ დაიკვეთონ ბითუმათ. ფასი 25 მანეთი. მაღაზიის ტელეფონი № 14—21. (ნ. 5—4)

## სახელოვნო ცენტრი

თანახმად სახელოვნო ცენტრის პრეზიდიუმის დადგენილებისა, გამოიცემა ყოველთვიური სახელოვნო ჟურნალი

## ხელოვნება

**შემდეგის განყოფილებებით:**

1. სიტყვა-კაზმული მწერლობა (პოეზია, ბელლეტრისტიკა, დრამატურგია, ესტეტიური კრიტიკა).
2. თეატრი.
3. მხატვრობა.
4. მუსიკა.
5. ხელოვნების ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

ავტორებმა მასალები უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: თფილისი, დამფუძნებელი კრების ქუჩა, 5. მსახიობთა კავშირის კონტორა, კონსტანტინე ანდრონიკაშვილს. (ნ. 2—1)

ექიმი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხიჩინოვი**

იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.
2048—თ.

მედიცინის დოქტორი

**ა. ა. მონსე**

**საზაფხულოთ წავიდა წაღვერში, ბორჯომის ახლო. აგარაკი მიხაილოვისა.** მიღება ავათმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. (1989—10—3)

მასწავლებელი

**ს. ა. გრიაზნოვი**

იყვანს შეგირდებს მოსამზადებლად შემოდგომის გამოცდებისათვის. მისამართ. ვერა, იზმაილოვის შესახ. სახ. 6., ბინ. 8. (2019—3—3)

## ზავი საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის

25 ივნისის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ მოახდინა რატიფიკაცია საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის დადებულ საზავო ხელშეკრულობისა.

ვინც გაეცნობა ხელშეკრულობის ტექსტს, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს სამს მთავარ მხარეს.

ხელშეკრულობა ცხადათ მოწმობს, რომ შეთანხმებულ ორ მხარეს შორის საქართველო ომში გამარჯვებულია, აზერბეიჯანი კი—დამარცხებული. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის საზღვრები, რომლებიც გავლებულია მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ომამდის აზერბეიჯანის ჯარებს ეჭირათ ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი წითელ ხიდის აქეთ და თფილისის მაზრის ნაჭერი ფოილოს ხიდს აქეთ. ხელშეკრულობის ძალით კი ეს ორივე ხიდი ბუნებრივი საზღვარი გახდა საქართველოსა და აზერბეიჯანს შუა, საქართველომ, გარდა ამისა, მიიღო ყაზახის მაზრის დასავლეთის ნაწილი.

მეორე მხარე, რაც გამოსჭვივის ხელშეკრულობის ტექსტიდან, ეს არის ხაზგასმული მშვიდობიანობის მოყვარეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო მოქმედების შეჩერების ჟამს საქართველოს ჯარები იდგნენ ტარსის და ბაბაქიარის მთების ბევრათ უფრო აღმოსავლეთით. მიუხედავათ ამისა, საქართველო თანხმდება თავისი ჯარები ნება-

ყოფლობით უკან დასწიოს და ამ ორ მთაზე გააჩეროს. ტარსის და ბაბაქიარის მთები ამ რაიონში ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიციებია. ის ხაზი, რომელიც ხელშეკრულობის ძალით საქართველოს ჯარს დღეს უჭირავს, ნამდვილი ბუნებრივი საზღვარია და ამ ხაზზე თავის ჯარის გადმოყვანით საქართველო ქვეყანას ამცნობს, რომ მას ტერიტორიის შემოერთება და გაფართოება კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ და მარტო თავის დაცვა, რომ მას მხოლოდ ბუნებრივი საზღვრები უნდა, რომ მტერს არ შეეძლოს შემოჭრა საქართველოს საზღვრებში. ამაზევე ღაღადებს ფოილის ხიდის საზღვრად დადება ადერბეიჯანსა და საქართველოს შუა.

ხელშეკრულობის კიდევ ერთი მხარე იპყრობს დიდს ყურადღებას. ზოგიერთი მისი მუხლები მოწმობენ, რომ თვით ადერბეიჯანი თავის თავს სთვლის ომის გამომწვევად და თავდამსხმელ მხარეთ. ამნაირია, მაგ., აზრი ხელშეკრულობის მესამე მუხლისა: ამ მუხლის ძალით ადერბეიჯანის ტერიტორიაზე არსდება დაახლოვებით 20 ვერსის მანძილზე წითელ ხიდს და ფოილოს ხიდს იქით ნეიტრალური ზონები, რომელშიაც ადერბეიჯანს ნება არ აქვს შეიარაღებული ძალები იყოლიოს. საქართველოს საზღვრებში ასეთ ნეიტრალურ ზონის დაწესება საჭირო არ გამოდგა და ადერბეიჯანმა ამით აღიარა ქვეყნის წინაშე, რომ საქართველოს მხოლოდ თავდაცვისთვის ჰყავს ჯარი და მისთვის არავითარი თავდასხმა არ არის მოსალოდნელიო. ეს გარემოება ისეთი ზნეობრივი გამარჯვებაა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელსაც არავითარი ფიზიკური გამარჯვება და ტერიტორიის გაფართოება არ შეედრება.

ხელშეკრულობის ეს ზნეობრივი მხარე სათანადოთ ვერ დააფასეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა. მათ მთავარი ყურადღება იმას მიაქციეს, რომ ჩვენ შეგვეძლო მეტი ტერიტორიის შეძენა ამ ომიდან, ჩვენ შეგვეძლო მეტი ნივთიერი სარგებლობის მიღება, ვიდრე ეს მივიღეთ ხელშეკრულობის ძალით. ეს სრული სიმართლეა, რომ შეგვეძლო. მაგრამ ამის მიღება ჩვენ შეგვეძლო ომის განგრძობის ფასით. ჩვენს წვრილფეხა იმპერიალისტებს ომისა არ ეშინიათ, ჩვენს დემოკრატიას კი მთელი თავისი არსებით სძულს ომი, იგი ომს აწარმოებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით და აჩერებს მას, როგორც კი შესაძლებლად დაინახავს მის შეჩერებას. და ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მიერ გამოჩენილი მშვიდობის მოყვარეობა და ძალადობისადმი სიძულვილი, რომლის დემონსტრაციასაც წარმოადგენს მიღებული ხელშეკრულობა და რომელიც მთელი ქვეყნის წინაშე შემოწმებულია თვით მოპირდაპირე მხარის მიერ, ბევრათ უფრო ხმამაღლა ღაღადებს საქართველოს დემოკრატიის გამარჯვებაზე, ვიდრე მთელი ყაზახის მაზრის დაპყრობა.

## „კომუნისტის“ მკითხველებს

VI

**სარკე და მაიმუნი**

„საქართველოს კომუნისტმა“ მერვე ნომერში ორი წერილი მოათავსა ჩემ წინააღმდეგ. ერთი დიდი ხანია, დაწყებულია, მეორე ახლა იწყება. ბოლო არ უჩანს არც ერთს.

კარგია ეს. კამათი მე სასარგებლოთ მიმაჩნია და საჭიროთაც. ერთი პირობა უნდა იყოს დაცული მხოლოდ. მოკამათემ უნდა იცოდეს, ვის ეკამათება და რაზედ. ეს არ იციან „კომუნისტის“ მოკამათეებმა, ან არ უნდათ, რომ იცოდნენ.

პლეხანოვი იტყოდა ხოლმე,—ხშირათ მოპირდაპირე ან შეეცდება, რომ ვერ გაიგოს შენი აზრი, ან განგებ დაამახინჯებს ამ აზრს და მერე დაგიწყებს კამათსო.

ასე ემართებათ ახლაც ბალშევიკურ გაზეთის მწერლებს. ეს პირველი შემთხვევა არ არის. მე რანდენჯერმე მივუთითე შესაფერის ფაქტებზე და პირდაპირ დავუყენე კითხვები. ვერც ერთ ამ კითხვაზე „კომუნისტმა“ პასუხი ვერ მომცა. მიდის წინ თავის გზით და კამათში იჩენს ორივე ნაკლულოვანობას, ვერც გებულობს ჩემ აზრებს, ცდილობს კიდეც, რომ არ გაიგოს.

მე მკითხველს ველაპარაკები და არა თითონ გაზეთს, ამიტომ განვაგრძობ ისევ ჩემ შეკითხვებს.

რისთვის დასჭირდათ „კომუნისტის“ მებრძოლებს მარქსის და ენგელსის წიგნებიდან ეს გრძელი ამონაწერები? უნდათ სთქვან, რომ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები რევოლიუციას არ იწყებენ და არ ათავებენ საყოველთაო კენჭის ყრითო. მერე ვის შეუვიდა ამაში ეჭვი? „კომუნისტი“ დგას ღალებულ კარებთან და ცდილობს კარების ღალებას, ღალებულ კარებს ამტვრევს გასაღებათ.

მარქსის სიტყვებით მიმტკიცებს, რომ საყოველთაო კენჭის ყრა საჭიროების დროს ხელს ვერ აგვალებინებს შეიარაღებულ ბრძოლაზეო. კარგი, მაგრამ ვინ უარყოფს ამას? სად და როდის ვსთქვი მე, რომ მარტო არჩევნები, მარტო თანდათანობა, მარტო ევოლიუციონური გზათქო?

სად და როდის სთქვა ან მარქსმა ან ენგელსმა, მეორე მხრივ, რომ მარტო ნახტომებით სიარული, მარტო შეიარაღებული ბრძოლა, და არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს სხვა საშუალებას, მაგალითად, საყოველთაო არჩევნებსო?

რომელი მარქსის და რომელი ენგელსის ნაწერებში ამოიკითხეთ, ბატონებო, ის აზრი, რომ ძალადატანებით უნდა დაიმორჩილოთ უმრავლესობის ნებაო?

სად დაწერილა მარქსის და ენგელსის კალმით, რომ „საბჭოთა“ მთავრობამ უნდა არღვიოს საბჭოთა კონსტიტუცია, არ ასრულებდეს არც ერთ თავის ხელით დაწერილ კანონს და კონტრ-რევოლიუციონერობა დააბრალოს ხოლმე ყველას, ვინც ამ კონსტიტუციის და ამ კანონის ძალით ებრძვის ისევ იმ მთავრობასო?

მოიყვანეთ საიდანმე ერთი პატარა ამონაწერი კომისართა თვითნებობის, წითელი ტერორის, ჩრეზვიჩაიკების და სხვა ბალშევიკური წესების გასამართლებლათ.

მარქსისტული მწერლობა არ ჰხრიდა სასწორს არც მშვიდობიანი ზომებისკენ, არც ცარიელი ძალმომრეობისკენ. მე მგონია ამის გაგება გაუგებელსაც კი შეუძლია. ეს აზრი გამოიხედება „კომუნისტში“ მოთავსებულ ამონაწერებიდანაც. ამ გაზეთის თანამშრომლები, თითქოს, სახარების მცნებას ასრულებენ, მათმა მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მათი მარცხენა ხელი. იწერენ მარქსის და ენგელსის სიტყვებს ჩემ გასაბათილებლათ, მე კი სწორეთ ამ სიტყვებით მხარს მიჭერენ თავის წინააღმდეგ.

მარქსმა სთქვა,—კლასიური ბრძოლა ძირითადი მამოძრავებელი ძალაა საზოგადოებრივი განვითარებისო. მაგრამ როდის გაიგონეთ იმავე მარქსისგან, რომ კლასთა ბრძოლა, ნიშნავს კლასთა შეუგნებელ მტრობას, სიძულვილს და საზოგადოებრივი კლასების ერთმანეთზე მისისიანებასო?

მარქსმა სთქვა,—ბურჟუაზია პროლეტარიატის მტერიაო, ესეც მართალია. მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ბურჟუებს უნდა ეცეთ ყელში და წაართვათ რაც აქვთო? მომიძებნეთ აბა ერთი ისეთი ადგილი მარქსის და ენგელსის ნაწერებში, სადაც ნათქვამია, რომ ბურჟუებს უნდა გამოვეკიდოთ ქვით და ხანჯლითო.

კლასთა ბრძოლა სხვაა და ყაჩაღობა სხვა. ბალშევიკების რევოლიუციამ არია ერთმანეთში ეს ორი ცნება. მე არ ვამბობ, რომ ბალშევიკები ეწევიან ყაჩაღობას. მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ მხოლოთ, რომ რუსეთში ფართო შეუგნებელმა წრეებმა ასე შეითვისეს ბალშევიკების პროპაგანდა-აგიტაცია. არ შეიძლებოდა რომ სხვა ნაირათ შეეთვისებიათ. ჩამორჩენილ რუსეთში სოციალიზმი არ მოეწყობოდა ბალშევიკური სისწრაფით. აქ შესაძლო იყო მარტო დამახინჯება ამ სოციალიზმის:— ჩამოუარეთ მდიდრებს, ჩამოართვით ყველაფერი და გაინაწილეთო. ბალშევიკებს, რასაკვირველია, უნდოდათ, რომ მათი მოძღვრებით ესარგებლებია მშრომელ ხალხს, ისარგებლეს კი ყაჩაღებმა და ნაძირალებმა უფრო, ვიდრე მუშებმა და გლეხებმა.

ასეთი მდგომარეობაა დღევანდელ რუსეთში. რაც უნდა ეცადოს „კომუნისტი“, ამ ფაქტს ვერ დაუმალავს თავის მკითხველებს. კრილოვის მაიმუნმა რომ სარკეში თავისი სახე დაინახა,— თავს მოვიკლავდი ამას რომ ვგავდეო,— წამოიძახა.

კარგათ ჩაიხედოს „საქართველოს კომუნისტმა“ იმ სარკეში, რომელიც მისმა ამხანაგებმა დასდგეს „საბჭოთა“ რუსეთში. ის კი ამ სარკეს თვალს არიდებს და თავს იმშვენებს მარქსისტული სარკის წინ, მაგრამ... არ გათეთრდება ყორანი...

**ს. დევდარიანი.**

## პარტიული ყრილობა

II

ყრილობის უმთავრესი ყურადღება ტრიალებდა რამდენიმე ძირითადი საკითხების გარშემო. მარა სანამ ამაზე ვიტყოდეთ რამეს, საჭიროთ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ითქვას პარტიულ მუშაობაზე, რადგან დაბოლოს მიღებული რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რიგ გაცხოველდება პარტიული მუშაობა და მოეწყობა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები. უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ბევრი რამ არ არის რიგზე. პარტიული მუშაობა ამ ბოლო დროს მინელდა. ორგანიზაციები შესუსტდა. თვით სისტემა მუშაობისა დამახინჯდა, და ლამის არის გულგრილობამ შთანთქას პარტიული მასის სურვილები და ენერგია.

რა თქმა უნდა ყოველივე ამას აქვს თავის გასამართლებელი საბუთები, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება და ამ ფაქტიდან კი ის სავალდებულო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ შეუძლებელია პარტიის არსებულ მდგომარეობაში დატოვება, საჭიროა მისი გამოცოცხლება, მისი დაახლოვება ყველა იმ საკითხებთან, რომელსაც აყენებს დღევანდელი რთული მომენტი და ასე პარტიულ მასის მხურვალე მონაწილეობა ყველა საჭირ-ბოროტო საკითხების გარკვევა-გადაწყვეტაში. ამისთვის კი საჭიროა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციების სათანადო სიმაღლეზე აყვანა, მათი მუშაობის სისტემის შეცვლა და შეცვლილ პირობებთან ერთად თვით მუშაობის შინაარსის შეცვლა. პარტიული ორგანიზაციები უნდა განთავისუფლდენ ყველა მისი არა პირდაპირი მოვალეობისაგან ე. ი. სახელმწიფო საქმეებში უშუალოთ ჩარევისაგან და ასე მისი მოქმედება განისაზღვროს იმ მოვალეობათა ასრულებისაგან, რომელიც გამომდინარეობს მისი ბუნებიდგან. ორგანიზაციები უნდა დაუახლოვდენ პარტიულ მასას, პარტიული მასსა უნდა ამაღლდეს იმდენათ, რომ თავის კონტროლს ქვეშ დააყენოს ადგილობრივი ორგანიზაციები და ასე შესცვალონ ზოგიერთ ორგანიზაციებში გამეფებული არა ნორმალური მდგომარეობა.

პარტიამ უნდა შეიგნოს და შეითვისოს მომენტის მთელი სირთულე და სიმწვავე და აქედან ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს, რომ შეუძლებელია ისეთი გულგრილობის გამოჩენა პარტიული მუშაობისადმი, როგორიც ემჩნეოდა დღემდის.

ყრილობამ სათანადო ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და შესაფერი დადგენილებაც მიიღო. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება პირველ ყოვლისა ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს და პარტიის ორგანიზაციების სათანადო სიმაღლეზე აყვანით, მათი ხელმძღვანელობით და სათანადო დირექტივებით გააცხოველებს პარტიულ მუშაობას და მით შესაძლებლათ გახდის იმ მრავალ დაბრკოლებათა დაძლევას, რომელიც აღმართულია პარტიის სავალ გზაზე.

**განი.**

## საზავო ხელშეკრულება დადებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შორის

ერთი მხრით ადერბეიჯანის სოციალისტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ მისი სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერის, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მირზა-დაუთ ჰუსეინოვის სახით და მეორეს მხრით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხედრო მინისტრის გრიგოლ სპირიდონისძის ლორთქიფანიძის, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიმონ გურგენისძის მდივანისა და ალექსანდრე სიმონისძის ანდრონიკაშვილის სახით, გაიცნეს რწმუნებულებანი ურთიერთისა, სცნეს წესიერად შედგენილათ და დასდეს ქვემორე ხელშეკრულება მშვიდობის ჩამოგდებისა და მეგობრობისათვის:

1. ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის ისპობა ყოველივე საომარი მოქმედება და ორივე მხარენი იწყებენ მტკიცე სამშვიდობო და სამეგობრო ურთიერთობას. ტყვედ წაყვანილებს ორნივე ერთ-მანეთს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

2. ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საზღვრად დაიდო: ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოელრჩაშის მთაზედ, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთის საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული წყაროებამდე; ეს წყაროები ორის ვერსის მანძილზეა ყიზილჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; იქიდან საზღვარი მიდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბა-კირის მთების ქედს გადაღმა მის აღმოსავლეთით ფერდობებზე, წითელ ხიდს შუა გაუვლის. მერმე გაჰყვება ძველ საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფოილოს ხიდს გაუვლის შუაზე, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ძველ საადმინისტრაციო საზღვრით იალაღჯის ქედამდე. მერე სამხრეთ - აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ძველ საადმინისტრაციო საზღვრით პალან-ტუკენის მთის სამხრეთ კალთების ბოლომდის, მერე გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე (რუქა დიუიმ 5 ვერსიანის).

3. წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის წინა მდებარე ზონები აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირი ადერბეიჯანის მიწა-წყალზედ ნეიტრალ ადგილებად ცნობილ იქმნა ერთის წლის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულობის დადებისა შემდეგ საზღვართა შორის: 1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოსა და თფ. მაზრის საადმინისტრაციო სიზღვრითა, 2) ყაზახის მაზრაში ის რაიონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი სოფ. ყიზილჰაჯალისა, ფეიქანლისა, სადგ. შაქარლი და ღლია მტკვრისა იმ ჭალებთანა, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით იმყოფება, იქიდან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩობან-დაღის ქედის დასავლეთ კალთების ბოლომდის და შემდეგ ჩობან-დაღის ქედით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სიღნაღის მაზრის საადმინისტრაციო მიჯნამდე. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო დასახლებული ადგილია განსაკუთრებით. (იხ. რუქა დიუიმ 5 ვერსიანი).

4) მე-3 პუნქტში აღნიშნული ნეიტრალი ზონების ტერიტორიაზედ არ შეიძლება არავითარი სიმაგრის აგება და არც ჯარის შეყვანა; ადმინისტრაცია და მმართველობა კი ადერბეიჯანისა უნდა დარჩეს.

**შენიშვნა**: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისთვის თვალყურის სადევნებლად არსდება განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელშიაც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ ორი თითო მხრიდან.

5. წითელ ხიდს საქართველოს მიწა-წყლიდან იცავს ქართველთა სადარაჯო; მხოლოდ ადერბეიჯანის მხრიდან—ადერბეიჯანის სადარაჯო; საქართველოს უფლება აქვს ხიდით თავისუფლად ისარგებლოს ტარხისა და ბაბა-კირის მთაში მიმსვლელისთვის.

6. საკითხი ზაქათალის ოლქის შესახებ უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრო კომისიას; ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით. ვიდრე ეს საქმე არ გადასწყდება საარბიტრო კომისიაში, არც ერთ მორიგებაში მონაწილე მხარეს ნება არ აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტისა 1920 წ. მაისის 12 თარიღით.

**შენიშვნა 1**: ეს მუხლი ჩართული იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტომ, რომ ზაქათალის საქმის გამო სხვადასხვა აზრს დაადგენ დელეგაციები ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა, როცა შეუდგენ მოსკოვის 1920 წლის მაისის ხელშეკრულობის მეოთხე მუხლისა და მის დამატებათ 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით შეკრულ შეთანხმების პირველ მუხლის განმარტებას; აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად ამ სადაო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

**შენიშვნა 2**: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისთვის თვალ-ყურის სადევნებლად, რათა ოლქში ახალი ჯარის შეყვანა არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკანტროლო კომისია; კომისიაში ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხარიდან.

7. ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ დავის გარეშე ერთიც და მეორეც აღიარებენ ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა დამოკიდებლობასა და სუვერენობას და ერთიც და მეორეც უარს ამბობენ ერთი მეორის შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

8. თითეული ხელშეკრულების დამდებთაგანი ნოვალეობასა ტვირთულობს შეიწყნარებდეს და პატივსა სცემდეს ერთმანეთის დროშასა და ღერბს, ვითა სუვერენობით მოსილ სახელმწიფოს ნიშანს. დროშის და ღერბის სურათი აგრეთვე თუ შემდეგ შიგ ჩართული იქნება რაიმე ცვლილება, დიპლომატიურის გზით უნდა აუწყონ ერთმანეთს.

9. სადიპლომატიო და საკონსულო ურთიერთობა ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაუყოვნებლივ მყარდება საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერისთანავე; ვიდრე ცალკე შეთანხმება მოხდებოდეს ურთიერთის მდგომარეობის კონსულებისა და დიპლომატიურ წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობისათვის, მათ მოქმედებისა და საქმიანობას არსებული ნორმები და კანონდებულებანი უნდა აწესრიგებდენ.

10. ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთი-მეორეს წინაშე ტვირთულობენ მოვალეობას რათა არ მისცენ ნება თავიანთ მიწა-წყალზე არსებობისა და მოღვაწეობისა ყოველგვარ ჯგუფებს, ორგანიზაციას, ანუ პიროვნებას, რომელნიც ჰლამობენ ადერბეიჯანისა, ანუ საქართველოს მთავრობის როლი მიითვისონ, აგრეთვე არ დაუშვან არავითარი ჯგუფის ორგანიზაციის, ანუ პიროვნების არსებობა, რომელთაც ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების მთავრობათა დამხობა აქვთ მიზნათ დასახული.

11. ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ტვირთულობენ ერთი მეორეს წინაშე მოვალეობას არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინონ იმ ჯგუფებს, ორგანიზაციებს და ცალკე პირებს, რომელნიც ჰლამობენ მმითვისონ როლი ხელშეკრულობის დამდებ სახელმწიფოთა მთავრობისა, ანუ ცდილობენ რათა დაამხონ მათი მთავრობანი.

12. ორივე ხელშეკრულების დამდები მხარე თავიანთ სავაჭროსა და ეკონომიურ ურთიერთობის საფუძვლად სდებს ერთმანეთის უაღრესად ხელის შეწყობის პრინციპს, და შეძლებისამებრ სავაჭრო საქონლის ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლის პრინციპს.

13. ვიდრე შემუშავებულ და ხელმოწერილ იქნებოდეს სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულება, ხელშეკრულების დამდებთა შორის უნდა ძალა ჰქონდეს თავისუფალ ტრანზიტის პრინციპს.

14. ორსავე ხელშეკრულების დამდებ მხარეს პრინციპიალურად სავალდებულოდ მიაჩნიათ დაუბრუნონ ერთმანეთს ის ქონება, რომელიც ეკუთვნის ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთს მხარეს და რომელიც ომის მიზეზით დარჩა მეორე სახელმწიფოს მიწა-წყალზე.

15. პრინციპიულადვე სავალდებულოდ მიაჩნიათ, რომ აუნაზღაურონ ერთი მეორეს ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ სახელმწიფოს სახელმწიფოსაზოგადოებრივ, საერობო, საქალაქო დაწესებულებათა და მათ კავშირთა. აგრეთვე საკოოპერაციო ორგანიზაციების ნაციონალიზაციით, ყადაღის დადებით, რეკვიზიციით, ანუ სახელმწიფოს ხელის-უფლების რომელისამე ორგანოს განკარგულებითა და მოქმედებით, თუ ამისთანა რამ მოხდა მეორე სახელმწიფოში: თვით წესი და ნორმები ასეთის ზარალის ანაზღაურებისა უნდა შემუშავებულ იქმნას მხარეთაგან შეთანხმებით არჩეულ კომისიის მიერ; ამავე კომისიამ უნდა შეიმუშავოს რა ნორმებით აუნაზღაურდეს ზარალი აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათაც; ანგარიშები და ვალი, რომელიც ომამდე არსებობდა აზერბაიჯანის და საქართველოს შორის, გასწორებულ და აღსრულებულ იქმნას ურთერთს შორის ხელშეკრულების დამდებთა მიერ.

16. ის საქმენი საჯარო უფლებრივისა და კერძო უფლებრივი ხასიათისა, რომელიც იჩენს თავს ერთისა და მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის, აგრეთვე ერთის სახელმწიფოს მოქალაქეთა და მეორე სახელმწიფოს შორის, გრეთვე ცალკე საქმენი, რომელნიც იჩენენ თავს ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა შორის, განხილულ-გადაწყვეტილი უნდა იქნენ ადერბეიჯან-საქართველოს შერეული კომისიის მიერ; ეს კომისია უნდა შესდგეს ორივ მხრით წარმომადგენლებისაგან თანაბარის რაოდენობითა და ასრულებდეს თავის მოვალეობას, ვიდრე თვითვე შეიმუშავებდეს ზემოხსენებულ საქმეთათვის განსაკუთრებულ შეთანხმების დებულებას.

17. ვიდრე განსაკუთრებულ შეთანხმებაზედ დამყარებული დებულება იქნება შემუშავებული ადერბეიჯანის მომთბარე ერთათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნებას აძლევს ამ ერთ თავისუფლად და დაუბრკოლებრივ სარგებლობდნენ იალაღ საძოვრებსა იმავე პირობით, რა პირობითაც არსებობს საქართველოში ქვეშევრდომ მომთაბარეთათვის.

18. ორისავე ხელშეკრულობის დამდებ მხარის მოქალაქეებს, რა გვარიც უნდა იყოს მათი საზოგადოებრივი და სამსახურის მდგომარეობა, ნება აქვთ დაუბრკოლებლივ წავიდენ თავიანთ სამშობლოში; ამასთანავე უფლება აქვთ წაიღონ თავიანთი საკუთარი ქონება იმ წესთა და ნორმათა მიხედვით, რომელიც შემოღებული იქნება ორისავე მხარის თანაბარ რაოდენობის წარმომადგენელთა შერეული კომისიის მიერ.

19. ხელშეკრულობა ესე ძალაში შედის იმ დროიდან, რა დროსაც ხელმოწერილი იქნება და რატიფიკაცია უნდა ექნეს; რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს თფილისში ორის კვირის განმავლობაში დღიდან ამ საზავო ხელშეკრულობის ხელის მოწერისა. ივნისის 12, 1920 წელი. სად. აქსტაფა.—

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი: გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი სიმონ გურგენის ძე მდივანი, ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი.

ა. ს. ს. რ. სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუთ ჰუსეინოვი.

## დამფუძნებელი კრება

25 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი კანონებისა: სამხედრო უწყების შტატის დამატების და ცვლილების შესახებ; სამსახურის ვადის გადიდებისა სასწავლო მცირე გუნდებში სწავლა დამთავრებულ ჯარის კაცთათვის და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

**ალ. ფირცხელაშვილის** მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა საპყრობილეთა დამცველ რაზმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**მელ. რუსიას** მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონისა ჰიათურის შავქვაზე სამუნიციპალო საფუთო გადასახადის შემოღებისა.

**პროექტი რატიფიკაციისა საქართველოს და ადერბეიჯანის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების.**

საგარეო კომისიის სახელით ამ საკითხის შესახებ სიტყვას იღებს აკაკი ჩხენკელი.

**აკაკი ჩხენკელი.** მოქალაქენო! მაქვს პატივი საგარეო კომისიის დავალებით მოგახსენოთ ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის 12 ივნისს და რომელიც უნდა დამტკიცებულ იქმნას ჩვენ მიერ და გაცვლილი თფილისში 2 კვირის განმავლობაში ხელის მოწერის შემდეგ, ე. ი. ხვალ, 26 ივნისს. თქვენ მოგეხსენებათ, მოქალაქენო, რომ ომი ჩვენსა და ადერბეიჯანის შორის დაიწყო ჩვენს ტერიტორიაზე, რაც ამტკიცებს იმას, რომ ომი დაიწყო ჩვენმა მეზობელმა ადერბეიჯანმა. თქვენ მოგეხსენებათ ისიც, რომ ეს ომი გათავდა ადერბეიჯანის ტერიტორიაზე და ეს ამტკიცებს იმას, რომ ომი გათავდა ჩვენი გამარჯვებით და მეზობლის დამარცხებით. როცა ამას ვამბობ, მე თვალწინ მიდგას და ვფიქრობ, რომ ყოველ თქვენთაგანს, ჩვენი სახელოვანი მხედრობა, თვალწინ უდგას, ჩვენი ჯარისკაცები, გვარდიელები, აფიცრები, საზოგადოდ სარდლობა, რომლებმაც დაიცვეს თავისი ტერიტორია, თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. და ამიტომ ამ ტრიბუნიდან უნდა განვაცხადო, რომ მათ დაიმსახურეს თავიანთ სამშობლოს წინაშე, იმ სამშობლოს წინაშე, რომელიც არის პირმშო დიდი რევოლიუციისა, და მის მონაპოვართა მატარებელი. ამ ომმა უეჭველად გაფანტა ის ილიუზიები, რომელიც ჰქონდათ ჩვენს მტრებს—თითქოს საქართველოს რესპუბლიკა, მისი დემოკრატია, ხალხი და მისი სამხედრო ძალები ნაკლების ხალისით და ენერგიით დაიცავდნენ თავის თავს წინააღმდეგ ბალშევიკების თავდასხმისა, ვინემ ისინი იცავდენ თავის თავს წინააღმდეგ დენიკინელებისა. ჩვენმა ხალხმა იცის, რას იცავს. ის იცავს არსებობას, თავის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სამართლიან საქმეს და ამიტომ მისთვის სულ ერთი არის ვინც უნდა გაილაშქროს ამ ღირებულებათა წინააღმდეგ, მეზობელი იქნება ის თუ არა, არის ამ პოლიტიკურ მიმართულების, თუ იმ პოლიტიკურ მიმართულების, ის მთელის თავის არსებით შეუტევს მას.

მე გადავდივარ პირდაპირ ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულება ნაწილდება სამ კატეგორიად. აქ არის ნაწილი ტერიტორიალური, საზღვრების საკითხი, არის ნაწილი ეკონომიური და პოლიტიკური. რაც შეეხება ტერიტორიალურ საკითხს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ საზღვრები გადის ჩვენ და ადერბეიჯანს შორის ძველი საადმინისტრაციო ხაზით ან უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იმ ხაზით, რა ხაზითაც გადიოდა საზღვრები თფილისისა და განჯის გუბერნიის შუა. აქ არის ერთი საგულისხმიერო და მნიშვნელოვანი შესწორება ჩვენდა სასარგებლოთ. წითელ ხიდის გაღმა ორი ცნობილი მთა ტარსი და ბაბაქიარი, რომელიც გაბატონებულია წითელ ხიდზე, შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაში.

გარდა ამისა, არის ეგრედ წოდებული ნეიტრალური ზონები. მაგრამ ეს ზონები არის მარტო ადერბეიჯანის ტერიტორიაზე და აქვს მხოლოდ დროებითი ხასიათი. ერთი წლის ვადით ადერბეიჯანს არა აქვს უფლება იყოლიოს ჯარი წითელ ხიდის და ფოილოს ხიდის ირგვლივ, მდინარე მტკვრის გაღმა. აღნიშნული არის მთელი რიგი პუნქტებისა, სადაც უნდა გაიაროს ნეიტრალურმა ზონამ და რომელსაც არ უნდა გამოსცილდეს ადერბეიჯანის ჯარები. აქ მხოლოდ შეიძლება იყოს ადერბეიჯანის სამოქალაქო ადმინისტრაცია, ამას გარდა ყარაიაზის, რომლის შესახებ უსაფუძვლოთ გვედავებოდა ჩვენი მეზობელი, ან კიდევ მისი მოქალაქენი ფაქტიურად ისაკუთრებდენ მას, და აგრეთვე სიღნაღის მაზრაში ელდარის ველი, რომელსაც ფაქტიურათ ჩვენი მოპირდაპირე ფლობდა, ხელშეკრულების ძალით ორივე ჩვენი ტერიტორიის უდავო ნაწილად რჩება. სიტყვის გაგრძელება საჭირო არ იქნება იმისთვის რაც დაუმატო, რომ ამიერიდან მაინც უნდა მოისპოს ის არალოიალური დავა, რომელიც წამოყოფდა თავს დროგამოშვებით ადერბეიჯანის მთავრობის მხრივ, დავა ყოფილ თფილისის გუბერნიის ამა თუ იმ კუთხის შესახებ,— რასაკვირველია ამას, ერთხელ და სამუდამოდ ელება ბოლო.

დარჩა ერთი საკითხი ღიად, გადაუჭრელად: ეს არის ზაქათალის, საინგილოს საკითხი. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ზაქათალის ოლქი საინგილო, შეადგენდა და შეადგენს საქართველოს განუყრელ ნაწილს, როგორც ისტორიულად, ისე ეკონომიურად. მას არსებობა არ შეუძლიან საქართველოს გარეთ. სწორედ ეს ზაქათალი იყო სადავოდ დარჩენილი. რუსეთთან ხელშეკრულების ძალით მოსკოვის მთავრობამ იცნო ჩვენი სრული უფლება ამ ოლქზე და იგი შემოდის საქართველოს ტერიტორიაში, შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, იყო დადებული დამატებითი ხელშეკრულება რუსეთთან და ეხებოდა არა ზაქათალის ოლქს მთლიანათ, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ადგილს ოლქისას, რომლის შესახებ შეიძლებოდა ყოფილიყო დავა. როგორც ჩვენ მოგვახსენეს კომისიაში ჩვენმა დელეგატებმა, ზაქათალის შესახებ დავა ყოფილა ასეთი: ადერბეიჯანის დელეგატები ამტკიცებდენ თურმე, რომ რუსეთთან 12 მაისს დადებულ დამატებით ხელშეკრულობის ძალით სადავოდ გამხდარა თითქოს მთელი ზაქათალის ოლქი. 12 მაისის დამატებით ხელშეკრულებაში მუხლი პირველი არის ნათქვამი, რომ დავა იმ ადგილებზე (МѢСТНОСТИ), რომელიც მდებარეობს საქრთველოს და ადერბეიჯანის საზღვარზე და ზაქათალის ოლქში, გადაეცემა შერეულ კომისიას, შემდგარს საქართველო და ადერბეიჯანის რიცხვით თანასწორ წარმომადგენელთაგან; ამ კომისიას თავმჯდომარეობს მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელი. აი, სწორეთ, დელეგაცია ადერბეიჯანისა მოითხოვდა, რომ თანახმად ამ დამატებითი ხელ-შეკრულებისა, ეს საკითხი ღიად დაგვეტოვებინა და გადაგვეცა გადასაჭრელათ შერეულ კომისიისათვის, ჩვენი დელეგაცია ამაში დაეთანხმა და ეს სჩანს ამ ხელშეკრულებიდან. იქ არის ნათქვამი, რომ დავა ეხებოდა ორ საკითხს: ერთი არის ფორმალური—განმარტება ძირითად და დამატებითი ხელშეკრულებისა რუსეთთან, და მეორე არსებითი. მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას პირველ საკითხს: დელეგატები ვერ შეთანხმდენ ხელშეკრულებათა განმარტების საკითხში, ვის შეუძლიან განმარტოს ისინი? რასაკვირველია, იმათ, ვინც დადვა, ე. ი. მოსკოვის და საქართველოს მთავრობებს. ეს წინასწარი საკითხი არის ჩვენთვის უაღრესი საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსკოვის მთავრობა არ გადაუხვევს მის მიერ 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მე-4-ზე მუხლი ზაქათალის ოლქს კატეგორიულათ მიაკუთვნებს საქართველოს. რაც შეეხება დამატებით ხელშეკრულებას, ეს შეეხება მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს, პუნქტებს საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვრებზე.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ ადერბეიჯანიდან რუსის ბალშევიკებმა ზაქათალაში შეიყვანეს ჯარის ნაწილები, რაიც აღკრძალული იყო 12 ივნისს დადებულ ხელშეკრულებით. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია მტკიცე იმედი გამოვთქვათ, რომ ჩვენი მთავრობა რაც შეიძლება ჩქარა ბოლოს მოუღებს ამ უწესობას.

რაც შეეხება ხელშეკრულების ეკონომიურ პირობებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირობები უნდა დაიწეროს ახლო მომავალში, და მათ საფუძვლად უნდა დაედოს ერთმანეთის უაღრესად ხელის შეწყობის პრინციპი. ჩვენ გვქონდა ადერბეიჯანიდან სატრანზიტო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში არ რჩება და ამიტომ მის მაგიერ უნდა დაიდვას ახალი. მანამდისინ კი წესდება თავისუფალი ტრანზიტი. თავისუფალ ტრანზიტს გულისხმობდა გაუქმებული ხელშეკრულებაც. გარდა ამისა, ჩვენთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა იმ საკითხს, თუ რა ბედი ეწეოდა ჩვენს ქონებას ადერბეიჯანში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სახელმწიფოს დიდი ღირებულების ქონება დარჩა იქ, და ჩვენი დელეგაციაც მის დაბრუნებას მოითხოვდა.

ხელშეკრულებაში არის მუხლი, სადაც

ნათქვამია, რომ, როგორც ადერბეიჯანი, ისე საქართველო ვალდებულია დაუბრუნოს მეორეს ის ქონება, რომელიც ეკუთნოდა სახელმწიფოს, საზოგადო დაწესებულებას, თვითმართველობებს, კოოპერატივებს.

ჩვენ გვაინტერესებდა აგრეთვე საკითხი ჩვენი მოქალაქეთა პირადი სვე-ბედი და მათი ქონებისა. ხელშეკრულების ძალით ეს ქონებაც ანაზღაურებული უნდა იქნეს და ჩვენს მოქალაქეთ ეძლევათ უფლება სამშობლოში დაბრუნებისა.

პოლიტიკური მხარე ამ ხელშეკრულებისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვცნობთ ურთიერთ დამოუკიდებლობას, სუვერენობას, რასაც ჩვენთვის აქვს უექველად მნიშვნელობა.

რა თქმა უნდა, თქვენ დაგებადებათ კითხვა, ვისთან გვაქვს საქმე, ვის შეუკარით ეს პირობა? გვაქვს საქმე დამოუკიდებელ თუ დამოკიდებულ სახელმწიფოსთან? როგორც ხელშეკრულებიდან სჩანს, ჩვენი მოპირდაპირე თავის თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეძახის და ჰკრავს ზავს, როგორც ასეთი. ჩვენ ჩვენის მხრივ შეგვიძლიან განვაცხადოთ მხოლოდ ის, რომ ადერბეიჯანის ხალხის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას, სუვერენობას, საქართველო როგორც წინად, ისე მომავალში დიდი სიმპატიით უცქერის. და როდესაც ჩვენ შორის დამყარდება მშვიდობიანობა, საქართველო, როგორც წინად, ისე მომავალშიც დაუმტკიცებს მას, რომ ის მართლაც, მხარს დაუჭერს მის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

ამ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ჩვენ ერთი-მეორის საქმეებში არ უნდა ვერეოდეთ. რამდენადაც ჩვენ ჩაკეტილნი არ ვართ ამ დარბაზში და ვღებულობთ ცნობებს, ადერბეიჯანში მართლაც არ უნდა იყოს ამ მხრივ ყველაფერი რიგზე. რაც შეეხება საქართველოს, დღიდან მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, მისი პოლიტიკის ღერძი სხვის საქმეებში ჩაურევლობა იყო და არც სხვას აძლევდა ის უფლებას მის საქმეებში გარევისა. ამ პოლიტიკას ჩვენ ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ, ამის თავდები არის ჩვენი ხალხი, ჩვენი დემოკრატია, რომლის წინაშე პასუხისმგებელნი ვართ.

აი, საერთოდ შინაარსი ხელშეკრულებისა, რომლის მიღებას და დამტკიცებას გთხოვთ საგარეო კომისიის სახელით.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება მთლად დამაკმაყოფილე[?]ლია, განსაკუთრებით იმით, რაც მე ზაქათალის ოლქის შესახებ მოგახსენეთ, რომლის საზღვრების საკითხი ღიათ რჩება. მაგრამ ნუ ვივიწყებთ იმას, რომ ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ვერიდებით სისხლის დაქცევას იქ, სადაც ცოტაოდენი იმედი მაინც არის, რომ უსისხლოდ მოგვარდება საქმე, და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ უსისხლოდ მოგვარდება სწორეთ ზაქათალის საკითხი ჩვენდა სასარგებლოთ. ამისათვის საჭიროა მთავრობის ენერგიული ნაბიჯები. მე ამავე დროს უნდა განვაცხადო, რომ კეთილმეზობლური განწყობილება ჩვენთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ჩვენ ვიცით, თუ რა გავლენა აქვს ერთი რესპუბლიკის სვებედს მეორე რესპუბლიკაზე ამიერ-კავკასიაში, მთლათ კავკასიაში.

ჩვენ ანგარიშს უწევთ, როგორც აწმყოს, ისე ახლო მომავალს, გვაქვს პერსპექტივები და ამიტომ მოწადინებული ვართ მშვიდობიანის გზით დავიცვათ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, თუმცა აქვე უნდა განვაცხადო ისიც, რომ ჩვენ არ გაურბივართ იარაღით ხელში თავდაცვას, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ნაბიჯს, მოქმედებას ჩვენი მეზობელი დააფასებს, დააფასებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბოლომდის არ ვისარგებლეთ ამ ომის შედეგებით, არ ვისარგებლეთ მეზობლის, შეიძლება ითქვას, კრიტიკული მდგომარეობით; ჩვენ გავიხსენეთ ხვალინდელი დღეც, ის, რომ ჩვენ მეზობლები ვართ და თუ არ გვინდა ერთი მეორის გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადერბეიჯანის ხალხი ადრე თუ გვიან ამაღლდება ჩვენი ხალხის ამ შეგნების დონემდე. (ტაში).

შემდეგ ამისა ილაპარაკეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა, რომელთა სიტყვებსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

(დასასრული იქნება)

## გენერალურ შტაბის ცნობები

26 ივნისი.

ივნისის 25 ყველა მიმართულებებზე სიწყნარე იყო

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

26 ივნისი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**მიხაილოვის მოწოდება.**

**ნიკოლაევი.** სამხრეთ - დასავლეთის ფრონტის საზღვაო ძალების კომანდირმა, მიხაილოვმა, შავი ზღვის ფლოტის წითელ მეზღვაურთა მიმართ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ყველა კომისრებს და კომანდირებს მოუწოდებს მოიკრიბონ მთელი ძალა, რომ სულ ახლო მომავალში აღდგენილი იქნეს შავი ზღვის ფლოტი.

**ლოიდ ჯორჯის განცხადება.**

თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ კრასინთან მოლაპარაკების დროს მას ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა რუსეთში მყოფ ინგლისის ქვეშევრდომ მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნილების წამოყენება.

**სამხედრო ცნობა.**

პოლოცკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი შემოტევა. ბერეზინის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა განდევნეს მტერი გამაგრებულ პოზიციებიდან, ამასთანავე წამოიღეს 10 ტყვიის მფრქვეველი. ოკრუჩ-კოროსტენის რაიონში მოზირ სარნის გზის გასწვრივ ჩვენ პოლონელების შევიწროვებას განვაგრძობთ.

**სასურსათო ღონისძიებანი.**

**ომსკი.** საგარეო სარ. კომ. მიიღო რა მხედველობაში პოლონეთის შემოტევა და ცენტრალურ რუსეთის მძიმე მდგომარეობა სურსათის ნაკლულოვანების გამო, მიმართა მოწოდებით ყველა საგ. სარ. კომ. და სხვ. კომიტ. მიიღონ ენერგიული ზომები, რომ აიძულონ მცხოვრებლები სასურსათო პროდუქტების ჩაბარებლათ. პურის ჩაბარება უნდა მოხდეს პირველ აგვისტომდე. ის, ვინც უფრო ადრე ჩააბარებს, მას ორწილი ღირებულების მანუფაქტურა მიეცემა. ტამბოვის გუბერნიის ბორისოგლების მაზრის სოფ. ნიკოლაევსკში ეკლესიის გაჩხრეკის დროს დიდძალი სამანუფაქტურო საქონელი აღმოაჩინეს.

**გაფრთხილება გლეხებს.**

იმ მიზნით, რომ გლეხები თავის მხარეზე გადაიბიროს, ვრანგელი გლეხებს მიწას, თავისუფლებას და მეფეს პირდება. გლეხებო ერიდეთ ასეთ დაპირებებს.

**კოლჩაკის მინისტრების დახვრეტა.**

**ომსკი.** ივნ. 23. სრულ. რუს. აღმ. კომ პრეზიდიუმმა უარყო კოლჩაკის მინისტრების თხოვნა შეწყალების შესახებ. ციმბ. რევ. კომ. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. დახვრიტეს შუმილოვსკი, კლაფტონი და ჩერვენ-ვოდალი.

**ინგლისელების ტყვეები ბაქოში.**

**რეველი.** ივნ. 23. თემთა პალატაში ბონარ-ლოუმ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა იღებს ყველა საჭირო ზომებს იმ ინგლისელ ტყვეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომლებიც ბაქოში ჩაივდეს ხელში ბალშევიკებმა. კრასინთან მოლაპარაკების დროს ინგლისის ტყვეების განთავისუფლება დასმული იქნება, როგორც აუცილებელი პირობა.

**საბჭოთა რუსეთის ოქრო.**

კოლჩაკის მინისტრმა მიხაილოვმა საფრანგეთის კერძო ფირმას 55 მილ. ფრანკის ოქრო მიჰყიდა. გენ. სემიონოვმა ხელთ იგდო 4 ვაგონი ოქრო. გენ. როზანიევმა იაპონიაში რამოდენიმე ათეულ მილიონის ოქრო წაიღო. ოქროს ნაწილი სავინკოვის, ბურცევის და რუსეთის სხვა მხსნელთა ჯიბეში გაჩნდა.

**ბელგია და საბჭოთა რუსეთი.**

**რეველი.** ივნ. 23. ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იგი მომხრეა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენისა.

**ფრანგული ცნობები.**

**მადაგასკარის ნავთის მაღაროები.**

ახალშენების მინისტრი უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ მადაგასკარის ნავთის სამრეწველოები დაეთმო ინგლისის ქვეშევრდომს და აღნიშნავს, რომ მადაგასკარის მაღაროების ექსპლოტაციის კონცესიები დაეთმობათ მხოლოდ საფრანგეთის საზოგადოებასო.

**მოსავალი.**

(დასაწყისი არ მიგვიღია) მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს. აგრეთვე დამაკმაყოფილებელია სხვა ქვეყნების მდგომარეობა პურის მხრივ, მიუხედავათ ზოგიერთი ვარიაციებისა, რომელიც უმეტეს ნაწილად დამოკიდებულია, როგორც პოლიტიკისა და ბირჟის ცვლილებებზე, აგრეთვე ტრანსპორტზე. არგენტინის რესპუბლიკამ დაამზადა გამოსატანათ 20% თავისი ხორბლეულობისა, მაგრამ საფრანგეთმა უკვე იყიდა საჭირო ხორბალი. ჰოლანდიას, შვეიცარიას, ესპანეთს, სკანდინავიის მხარეს და ინდოეთს აუარებელი ხორბალი აქვთ: მათ შეუძლიათ 25—30 მილიონი გექტოლიტრი გაიტანონ. მომავალი მოსავალი ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პური 34 პროცენტით ზედმეტი იქნება. მოსავალს მოელიან 46.500.000 (დამახინჯებულია). შეერთებული შტატებში მოელიან 273 მილიონ გექტოლიტრს, შარშანდელ 329 მაგიერ. რუმინიაში დათესილია 900,000 გექტოლიტრი ხორბალი და 600,000 შვრია. ფიქრობენ, იქიდან 40—50 ათისი ფუთი ვაგონი სიმინდისა და 2000 ვაგონის ქერის და ლობიოს გატანას.

**საფრანგეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში**

ხუთშაბათს დეპუტატთა პალატაში სხდომა იყო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. კამათის დროს მილიერანმა შემდეგი განაცხადა: აღმოსავლეთში ჩვენი მთავრობის პოლიტიკა მიზან შეწონილია. ეს პოლიტიკა ჩვენ დავიწყეთ თავიდანვე და საფრანგეთის მთავრობა მისი ერთგული იქნება. ხალხთა ლიგის შესახებ მილიერანმა დაამტკიცა: მთავრობა ყოველ ღონეს იხმარებს, რომ ამ იდეალურმა დაწესებულებამ რაც შეიძლება მალე რეალური ძალა მიიღოსო.

## ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

26 ივნისი.

**კავკავი.** 17 ივნისს, ღამით მოკვლის განზრახვით თავს დაესხენ საბჭოთა მე-10 არმიის უფროსს პავლოვს. თავზე დაცემის დაწვრილებითი ცნობები ასეთია: საღამოს 10 საათზე ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, მანსუროვის სახლში, პავლოვის ბინაში, სადაც უცნობმა ბომბი ისროლა, ბინა სულ მთლად დაინგრა. თვით პავლოვი სახლში არ აღმოჩნდა. დაჭერილნი არიან მეზობელ სახლების მეპატრონენი შეველიევი და ციგოლოევი.

**კავკავი.** ოს ბალშევიკების გაზეთი „კერმენი“ 17 ივნისს მთიელებისა და საბჭოთა მთავრობის შორის დამოკიდებულებას ახასიათებდა. გაზეთი იტყობინება, რომ კავკავთან ახლო მდებარე ადგილები და განსაკუთრებით უდარ კოხის, ალაგირის და გიზელის ტყეები კონტრ-რევოლიუციონურ ბანდებით არის სავსე, რომლებიც საბჭოთა ხელის უფლებაზე თავდასხმას ახდენენ. ამავე გაზეთში დაბეჭდილია მოწოდება, სადაც მთიელებს ბანდიტებთან საბრძოლველად მოუწოდებენ.

**ტუაპსე.** ტუაპსეს ახლო-მახლო ადგილებში ბალშევიკებისადმი მტრულად განწყობილი რაზმები გაჩნდენ. საბჭოთა სარდლობის მიერ მიღებულია ზომები კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების მოსასპობად.

**კონსტანტინოპოლი.** „ვაკიდ“-ს შემდეგი დაწვრილებითი ცნობები მოყავს საბერძნეთის ჯარების მიერ აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაციის შესახებ. 20 მაისს საბერძნეთის ჯარებმა გაილაშქრეს ნაზლიკეიდან გუმურჯინის მიმართ. 28 მაისს გუმურჯინი ბერძნებმა აიღეს, გუბერნატორად ვამვაკასი დანიშნეს. 29—30 მაისს საბერძნეთის დესანტის მიერ დაკავებულ იქნა დედაგაჩი, რის შემდეგაც ჯარები სოფელ დემოტიკის მიმართულებით გაემართა. საოკუპაციო კორპუსის ნაწილი ბულგარეთის საზღვრისაკენ გაგზავნეს, სახელდობრ, ბაინდრამისა და სერესის რაიონებში: ამით დასრულდა ფრაკიის ოკუპაცია, სადაც ამ ჟამად დაახლოვებით 20 ათასი საოკუპაციო ჯარი იმყოფება.

**პარიზი.** „ფიგარო“ აღმოსავლეთის საკითხს სპეციალურ წერილს უძღვნის სათაურით: „აღმოსავლეთის მუქარა“. წერილის ავტორი ადასტურებს იმ ქაოტიურ პოლიტიკას, რომელსაც მოკავშირეები აღმოსავლეთში აწარმოებენ. ამ პოლიტიკის შედეგი არის შეცდომათა მთელი რიგი, რომელმაც შეიძლება საბედისწერო ხასიათი მიიღოს. კილიკიის დიდ სივრცეზე საფრანგეთის პატარა ძალები აღმოჩნდა გაფანტული, რომლებსაც ადგილობრივი, ბევრად უფრო ძლიერი, ძალები თავს დაესხნენ.

ფრაკიიდან გაგზავნილ ფრანგული დივიზია ძლიერ გვიან მოვიდა და ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება შეიქნა საჭირო. ბოლოს და ბოლოს უნდა მოველაპარაკოთ ინგლისელებს. ემირ ფეისალის ყოფა-ქცევა, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინგლისელებმა გამოიგონეს, უფრო და უფრო მუქარის ხასიათს იღებს, თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდა— თავისი ბეცი პოლიტიკის წყალობით ინგლისელებიც დაზარალდებიან. ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენს ბალშევიკების და ოსმალეთის ნაციონალისტების დაახლოვება. ბაქოს დაკავების შემდეგ, ასეთი კავშირის უნდა გვეშინოდეს. ბალშევიკების ოსმალებთან შეერთება ინგლისელებისათვის უფრო მეტ მუქარას წარმოადგენს და იგი მეტ დაბრკოლებას შეხვდება კავკასიაში, მცირე აზიაში და მესოპოტამიაში, ვიდრე ფრანგები სირიაში და კილიკიაში. ავტორი მოუწოდებს ინგლისს და საფრანგეთს მეტ შეკავშირებისა და თანამშრომლობისაკენ, რომელიც რეალურ შესაძლებლობაზე უნდა იქნეს დაყრდნობილი.

**ლონდონი.** ხალხთა ლიგის მდივანი საერთო განიარაღების პროექტს იმუშავებს. ეს პროექტი განხილული იქნება ხალხთა ლიგის უახლოეს სხდომაზე ბრიუსელში.

## იტალიის წარმომადგენელი საქართველოზე

იტალიის პოლიტიკურ სააგენტოს წარმომადგენელმა საქართველოში, მერკატელმა საქართ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იგი ამ ჟამად იტალიის მთავრობის მხოლოდ სრულუფლებიან აგენტად ითვლება. მაგრამ როგორც კი იქნება ცნობილი საქართველო იურიდიულად, მის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური სააგენტო დაუყონებლივ იტალიის საელჩოდ გადაკეთდება. მე იმედი მაქვს, სთქვა მერკანტელიმ, რომ საქართველოს იურიდიული და არა მარტო ფაქტიური ცნობა, ახლო მომავალში მოხდება. საქართველომ ბრძოლით მოიპოვა უფლება ასეთი ცნობისათვის.

საუბრის დროს მერკატელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მშვიდობიანი და ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება შედეგია მისი მთავრობის მოქმედებისა, რომელიც თავის პირად შემადგენლობით მართლაც იშვიათია და ქვეყნის დემოკრატიულ მოთხოვნილებას გამოხატავს, მთავრობა გონიერად ხელმძღვანელობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას არა მარტო შიგნით, არამედ გარეთაც. სწორეთ მთავრობის ასეთი მოქმედებით აიხსნება საქართველოში გამეფებული მშვიდობიანობა, რომელიც პირობებს ქმნის ქვეყნის კულტურულ ძალების განსავითარებლათ. საქართველო მე ძლიერ მომწონს, დაათავა თავისი საუბარი მერკატელიმ. ამ ჟამათ იგი მშვენიერი, ერთი ჩუმი კუთხეთაგანია, სადაც თავისუფალი სუნთქვა შეიძლებაო (სდს).

## ახალი ამბები

**25 ივნისს მოხდა სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის** ცენტრალური კომიტეტის სხდომა. გადაწყდა არჩეულ იქნას პრეზიდიუმი 7 წევრისაგან. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგებად ნოე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივნათ ალ. ლომთათიძე, ხაზინადრად ვასილ წულაძე და პრეზიდიუმის წევრებათ იოსებ სალაყაია და ილია ბადრიძე.

✦ **საყურადღებო მოხსენება.** ნაძალადევის ახალ კლუბის შენობაში გააკეთებს მოხსენებას რუსულ ენაზე, 28 ივნისს, საღ. 5 საათ. ყოფილი საქართველოს ელჩი საბჭოთა რუსეთში გ. ხუნდაძე, „საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაზე“. შესვლა უფასოა. კამათში შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ყველა პოლიტიკურ ორგანიზ. წარმომადგენლებმა.

✦ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ს. დევდარიანის წიგნი:—როგორ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში?

✦ **გორის მაზრაში სეისმომძლე შენობათა კონკურსი.** კონკურსზედ წარმოდგენილი იყო 18 პროექტი, ამათში ორი დანიშნულ ვადის შემდეგ, ე. ი. 15 მაისის შემდეგ. ჟიურიმ არც ერთი პროექტი ღირსად ჯილდოსი არ ჩასთვალა. ხოლო ორი პროექტი დევიზით „საკლია“ და „ვესი“ ჟიურიმ მოიწონა და შესაძლებლად სცნობს მათ შესყიდვას, პირველი კონკურსის პირობის ძალით 10,000 მან. მეორე პროექტი კი როგორც არა ვადაზე წარმოდგენილი, შეფასდეს შეთანხმებით. მსურველთა დასათვალიერებლათ საკონკურსო პროექტები გამოფენილი იქნება ორი დღით, ე. ი. 28 და 29 ივნისს, ქალაქთა კავშირის შენობაში. ყველა დანარჩენ კონკურსანტების საყურადღებოდ, ჟიური აცხადებს, რომ მათ თავის პროექტების უკან მიღება შეუძლიანთ 15 აგვისტომდე 1920 წ.

✦ **წარმოდგენა ჯარში.** ორშაბათს, 28 ივნისს სადარაჯო ათასეულში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება „ჭკუსა მჭირს“, „უბედური დღე“.

✦ **თეატრი და მუსიკა.** ორშაბათს, 28 ივნისს სახაზინო თეატრში დადგმული იქნება პირველი საოპერო წარმოდგენა თფილისის კონსერვატორიის მოწაფეთა. შესრულებულ იქნება სცენები ოპერებიდან—„ევგენი ონეგინ“, „დემონი“, „ფაუსტი“ და „პიკის ქალი“. მონაწილეობას ჰღებულობენ საოპერო კლასის მოწაფეები და კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებულნი. დირიჟორობს კონსერვატორიის დირექტორი ნ. ჩერეპნინი, დასაწყისი საღ 8 საათზედ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

✦ **„ადერბეიჯანის ფრონტი“** 27, 28, 29, 30 ივნისს, კინემო „მინიონში“ დაიდგმება სურათები „ადერბეიჯანის ფრონტი“. გამოცემა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირისა— „ცეკავშირისა“. სურათები გადაღებულია პოზიციებზე—სადახლოს, ფოილოს და წითელი ხიდის მიმართულებებზე. ამ სურათებზე განსაკუთრებით მოპატიჟებულნი არიან პრეზიდიუმი დამფუძნებელი კრებისა, მთავრობა და წარმომადგენელნი სამხედრო სამინისტროსი და სახალხო გვარდიისა.

✦ **საფუთო გადასახადის გადიდება.** 22 ივნისის სხდომაზე მთავრობამ საფუთო გადასახადის გადიდების საკითხი განიხილა. დადგენილია: 1920 წლ. პირველი ივლისიდან ნავთსადგურებით შემოტანილ და გატანილ საქონელზე აიღონ საფუთო გადასახადი შემდეგი ნორმით: 1) ყოველგვარ მადნეულობის ყოველ ფუთზე 1 მ. 50 კ., მათ შორის მარგანეცზე, ბარიტზე და უბრალო აგურზე; 2) ყოველგვარ ტყავის მასალის თითო ფუთზე 2 მან. (ქვეიფას ხარისხის ტყავის გამოკლებით) გიპსზე, თიხაზე, ალებასტრზე, ქვანახშირზე, ჩალაზე, თივაზე მარილზე, ცემენტზე და შეშაზე; 3) სამი მან.—ყოველგვარ ხორბალზე, ყოველგვარ მცენარეულობის თესლზე, ნავთის პროდუქტზე (ნავთის და ბენზინის გამოკლებით), საღებავზე, თიხაზზე, ძვირფას ქვებზე ნედლ ხილზე და მწვანილეულობაზე, ყოველგვარ თევზე (კონსერვის გამოკლებით) და აგრეთვე სხვილ და წვრილ საქონელზე. 4) 4 მანეთი—ფუთ რკინაზე, ბრინჯაოზე, ლითონზე, გაწმენდილ თითბერზე, ძვირფას ჯიშის ხე-ტყეზე, გადაუმუშავებელ ტყავზე, ყოველგვარ მატყლზე, ბამბაზე, კრამიტზე, ფქვილზე, ბრინჯზე, ყოველგვარ ხილზე, ბორჯომისა და სხვა მინერალურ წყლებზე. 5 მანეთი—ფუთ ქაღალდზე, ყოველგვარ ქიმიკურ საქონელზე, ბენზინზე, მინაზე, ჩაიზე, ყავაზე, სპირტზე, არაყზე, ღვინოზე, ლუდზე, და სხვა მაგარ სასმელებზე, გამხმარ ხილზე, თამბაქოზე, მანუფაქტურაზე, გალანტერეიაზე, საცვლებზე, დამზადებულ კოსტიუმებზე და მედიკამენტებზე.

✦ **განცხადება.** საქ. ქალ. თფილისის და აღმოს. საქ. გენ. გუბერნატორი აცხადებს, რომ მომავალში კლუბებში, რესტორანებში და სხვ. ამგვარ ადგილებში დადგენილ დროს, 11 საათის შემდეგ, დროს ტარების გაგრძელების ნებართვა არავის არ მიეცემა.

✦ **საბჭოთა რუსეთის კონსული.** საბჭოთა რუსეთის კონსულათ საქართველოში დანიშნულია ვექ. ბროდსკი. თავის მუშაობას საკონსულო 27 ივნისს შეუდგება.

✦ **ბოროტმოქმედება პურის გარშემო.** მეოთხე რაიონის მომრიგებელ მოსამართლის კამერაში 23 ივნისს ირჩეოდა საქმე სახელმწიფო მომარაგების ფურნის ფონდიდან 7 ივნისს $11^1/_2$ ფუთი პურის მოპარვის შესახებ. სამართალში მიცემული იყვნენ: ს. ჯამაშვილი, არხიმანდრიტოვი, პოღოსოვი, ნუბაროვი, არუტინოვი, თაყაიშვილი, ქარელოვი, სარაფიანი და ოგანოვი. მოპარული პური დასახელებულ პირებიდან ვაჭარ სარქისოვს უყიდია. მომრიგებელ მოსამართლემ საქმის მოსმენის შემდეგ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც ბრალდებულებს ციხეში ჯდომა მიუსაჯეს: ჯამაშვილს— 10 თვით, არხიმანდრიტოვს და პოღოსოვს 8 თვით, ნუბაროვს 5 თვით, არუტინოვს, სარაფიანს და ოგანოვს 3 თვით, პურის მყიდველს სარქისოვს 2 თვით. თაყაიშვილი და ქარელოვი კი განთავისუფლებულ იქნენ.

✦ **ცენზურა გაზ. „სამუსლიმანო საქართველოზე“.** ბათუმის ქართულ გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“-ზე ბათუმის საოკუპაციო მმართველობამ 21 ივლისიდან წინასწარი ცენზურა შემოიღო.

✦ **„ჩვენი გზა“.** რედაქციამ მიიღო ახალგ. მარქსისტთა ორგ. ცენტრ. კომიტეტის ორგანო—გაზ. „ჩვენი გზა“, № 2, ნომერი შინაარსიანათ არის შედგენილი.

✦ **კურსები.** ფრებელის სახელობის კურსებთან (დიდი მთავრის ქ. № 109) მსურველთა თხოვნით 10 ივლისიდან იხსნება ექვს კვირეული პრაქტიკული ხელგარჯილობის კურსები დიდებისათვის; კურსებზე მიიღება 20-მდე მსმენელი.

✦ **სახალხო სეირნობა.** დღეს, სახალხო სახლთან არსებულ ქართული წარმოდგენების მმართველი წრე თავის საშუალებათა გასაძლიერებლათ გამართავს მუშათა ცენტრალურ კლუბში დიდ სახალხო სეირნობას ფართო პროგრამით.

✦ **დღეს**, ივნისის 27-ს, მეორე ქართულ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 127—129) გაიმართება მეორე დიდი საღამო წარმოდგენა სახალხო სეირნობით ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს ათის წლის არსებობის აღსანიშნავად. საღამო გასტანს 2 საათამდე. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

— დღეს, საღ. 7 ს. სტუდენტთა სასადილოში შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობის სხდომა.

— დღეს, დილის 9 საათ. (ბებუთოვის ქ., № 22), მოხდება შოფერთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— ორშაბათს, 28 ივნისს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის არაჩვეულებრივი სხდომა. (კახეთის ქ. № 1)

## სომხების რიცხვი ბათომის გუბერნიაში

გაზეთებმა ცნობები მოგვიტანეს, რომ სომხები თურმე ცდილობენ, რომ ბათომის გუბერნიაში, ჭოროხის მარცხენა მხარე შავი ზღვის პირამდე, სომხეთის საზღვრებს და სომხეთის ერის საკუთრებას მიაწერონ.

თუ რამდენათ ეწინააღმდეგება ეს გარემოება ისტორიულს ჭეშმარიტებას და სისწორეს, ამაზედ, ჩვენ არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს ერთობ შორს წავა, მოვიყვანთ ცნობებს მარტო იმის შესახებ, თუ იმ კუთხის ადგილებს, რომელსაც დღეს სომხები იჩემებენ და ეპატრონებიან, აქ ამ ხსენებულ კუთხეში სომხები სადა და რამდენი კომლი სცხოვრობს მათი.

აი ესეც ამის ისტორიული მაგალითები:

ბათომის იქით 21 ვერსის სიშორით, ჭოროხის ნაპირას არის დაბა მარადიდი, აქ ამ დაბაში ცხოვრობს ხუთი კომლი სომეხი კათოლიკეთა.

დაბა მარადიდიდამ 24 ვერსის იქით, არის დაბა ბორჩხა, ამ დაბაში სცხოვრობს სომეხთა რიცხვის 5 კომლი, ესენი სულ მეჩუსტე და მეწუღლეები არიან.

ბორჩხის იქით 40 ვერსზედ არის სოფ. კორძული, სადაც ცხოვრობს 40 კომლი კათოლიკეთა, ეს კათოლიკენი არიან შთამამავლობითი ქართველები, ჟამთა ვითარების წყალობით იგინი სომხის კათოლიკებს გაუსომხებიათ, დღეს ესენი სომხურათ ლაპარაკობენ, თუმცა მათ ისიც იციან, რომ იგინი ქართველთ შთამომავალნი არიან.

აქვე ამ სოფელს კორხეთის ახლოს არის ქალაქი არცვინი, სადაც კათოლიკეთა რიცხვი არის 4000 სული, ესენიც წინეთ ქართველი კათოლიკენი ყოფილან, მერე გაშორებულან და ქართული ენა დაუკარგავთ, დღეს სომხურათ ლაპარაკობენ.

ართვინის იქით, უნდა გაიაროთ 80 ვერსი და მის მერე ჩახვალთ შავშეთში, აქ ერთს სოფელში სცხოვრობენ სომეხი გრიგორიანები და ოთხს სოფელში კი სომეხი კათოლიკენი, ესენიც წინეთ ქართველები ყოფილან და მერე გასომხებულან. მთელს ბათუმის გუბერნიაში, აი ეს გახლავთ სომეხთა რიცხვი, რაც კი ჩვენ მოვთვალეთ აქ.

დანარჩენი სოფლები ამ დიდს მანძილზედ გახლავთ სულ ქართველი სოფლები სადაც სულ ქართველი ტომის ხალხი სცხოვრობს, რომელთა ნახევარი ქართულად ლაპარაკობს და ნახევარი ოსმალეთის ენაზედ ლაპარაკობს.

ასეთი მაგალითის შემდეგ, განა შეიძლება, ის უსამართლობა, რომ ეს ვრცელი კუთხე ქართველთა ექვსას-შვიდას სოფლის ხალხს გამოგლიჯონ ხელიდამ და იმ მცირე ნაწილ სომხის ხალხის რიცხვს მიაწერონ, რაც კი ჩვენ აქ მოვიყვანეთ?

ზ. ქ.

## ვის აწყუებთ?

გაზეთ „საქ. კომუნისტის“ მეექვსე №-ში ვინმე ფ. ძ-ე სათაურით,—ვინ ჩაშალა ლექცია“? სწერს მ. ცხაკაიას ლექციის გადადების შესახებ და ჰსურს ბ.ბ. კომუნისტები გამოიყვანოს იმ საჯაყ და უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი ჩავარდენ ამ ლექციის გადადების გამო.

მე, როგორც მთავარ ხელმძღვანელს ბილეთების გამოტანა-განაწილებისა, საჭიროდ მიმაჩნია საზოგადოებისა და განსაკუთრებით კი მუშების საყურადღებოთ განვაცხადო, რომ ფ. ძ-ე, როგორც ეს კომუნისტებს სჩვევიათ, სიმართლეს ღალატობს და უნდა თავიანთი მარცხი სხვას მოახვიოს თავზე.

საქმე კი შემდეგში იყო:

ჯერ კიდევ სამი-ოთხი დღით ადრე აფიშების გამოკვრამდე ჩვენ შევიტყეთ, რომ კომუნისტები ლექციას მართავენ დისკუსიით და ამ დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა პარტიათა გამოჩენილი ძალებიო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო თითქმის ყველა კავშირებს და მეორე დღესვე სეკრეტარიატი აივსო კავშირების მოთხოვნილებებით. სეკრეტარიატს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ მოთხოვნილებებისთვის და თანხმად მათი, კავშირების, წარმოდგენილ სიებისა, მე, როგორც თავმჯდომარის მოადგილემ. (ამხ. ხელაძემ და ზოგი სხვა პასუხისმგებელნი ამხანაგებიც არა თუ მაშინ, იმ კვირაში სულ არ ყოფილან კავშირებში, რადგან პარტიულ ყრილობის სხდომებს ესწრებოდენ, როგორც დელეგატები და არ ვიცი საიდან გამოაძვრინა ბ. ფ. ძ—ემ ამხ. ხელაძე. მათ ბილეთიც არ შეხვედრიათ იმ ლექციისთვის), მივმართე სიით თეატრის კომისარს—ა. წუწუნავას თხოვნით, რომ ჩვენთვის, მუშებისთვის, ბილეთები დაეთმო. კომისარმა, როგორც უწინ (მუშების ოპერების მოწყობა, სამხატვრო თეატრის არტისტების წარმოდგენებზე ბილეთების დათმობა მუშებისთვის და სხვა), ისე ახლაც დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა, მაგრამ პირველ დღეს [illegible] რიცხვი (ათას რვაასის მოთხოვნის მაგიერ მხოლოდ 650 მოგვცა 1200 ადგილიდან) მაინც არ მოგვცა იმ მოსაზრებით, რომ მას არ სჯეროდა თუ ამდენი გაიყიდებოდა მუშებში; ხოლო რადგან წამოღებული ბილეთები იმ დღესვე გაყიდა და მუშები არ მისვენებდენ, მე ისევ მივმართე კომისარს თხოვნით რ კიდევ გამოვართვი 200 ბილეთამდე; ასე რომ სულ 850 ადგილები ჰქონდა კავშირებს წამოღებული, დანარჩენი კი წაიღო არა მენშევიკების პარტიულ კომიტეტს, როგორც ამას ამტკიცებს ბ. ფ. ძე, არამედ **კომუნისტურ პარტიის კომიტეტს მხოლოდ თავის წევრებისთვის.** ამის საბუთები მოიპოვება თეატრის კასაში და რათ გინდათ თქვენ, ბ. ფ. ძ—ევ, მოახვიოთ კასსირშას ის, რაც მას არ შეეძლო ეთქვა. მე გადაჭრით ვამტკიცებ, რომ არც ერთ მენშევიკურ პარტიულ ორგანიზაციას და ან კოლექტივის წევრებს ერთი ბილეთიც არ მიუღია არც თეატრის კასიდან და არც ჩემგან.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ბილეთების განაწილებას ჩვენს „ძმა-ბიჭებში“ ესეც ტყუილია. მობრძანდით, ბ. ფ. ძ—ევ, მოიყვანეთ თქვენი ამხანაგები სეკრეტარიატში და საბუთებით დაგიმტკიცებთ, რომ ბილეთები ნაწილდებოდა არა „ძმა-ბიჭებში“, არამედ კავშირებზე პროპორციონალურად წევრების რაოდენობისა და მოთხოვნილებისა, კავშირებმა კი გაანაწილეს კავშირის წევრებ შორის და ვინც გაიარა სამშაბათს სახელმწიფო თეატრის წინ, იქ მხოლოდ იყვნენ მუშები კავშირის წევრები. რაც შეეხება მეტყავეების კავშირის ნაწილის მიერ ბილეთების მიუღებლობას,—ეს ჩვენი ბრალი არ არის, მათ გამგეებს თუ სძინავთ (მათ ამეებისათვის არ სცალიათ, კომუნისტურ იაჩეიკებს აწყობენ) და დროზე მოთხოვნილება არ წამოაყენეს, მაგრამ მიუხედავათ ამისა მე მაინც შევძელი 5 ბილეთის ჩამოკლება სხვებისათვის და გადავეცი მათ.

თუ ეს ასე იყო და მუშებს ჩაუვარდათ ბილეთები ხელში და არა მენშევიკურ კოლექტივებს, მაშ რამ აიძულა „ხელმძღვანელები“ გადაედოთ ლექცია? ნუთუ ბ. ვარდოიანის განსაკუთრებული რაზმის მიერ ძებნამ, რომელშიაც მე ევვი მეპარება, ხელი შეუშალა ლექციის მოწყობას? როგორც ვიცით, ლექციას აწყობდა ახალგაზრდა კომუნისტების ცენტრალური ემიტეტი და ნუთუ ცენტრალური კომიტეტი ერთი პირისაგან შესდგება? თუ გინდა ასეც ყოფილიყო, განა რა უნდოდა კიდევ ლექციის მოწყობას, ბილეთები ხომ ყველა გაყიდული იყო, ლექტორები, ოპონენტები და ყველაფერი თავის ადგილას იყო და კიდევ რაღა „მოწყობა“ უნდოდა ვერ გაგვიგია.

მაგრამ საქმე სულ სხვა რამეში იყო. როგორც ვიცით თფილისის მუშებში ბ. ბ. კომუნისტებს დიდი გასავალი არა აქვთ, მათ სურდათ ყველა ბილეთები კავშირებისა და მუშების გარეშე გაევრცელებიათ „თავიანთ ხალხში“, რომლებიც მათ ბლომათ მოეპოვებათ ძველ უადგილოთ დარჩენილ ჩინოვნიკებში და ძველათ გოროდცევის მიმდევართ მუშების ნაწილში, ამას ამტკიცებს მათი ულტიმატუმიც თეატრის კომისრის მიმართ, რომელიც გამოიხატებოდა მოთხოვნაში, რომ კავშირებისთვის ჩამოერთმიათ ბილეთები და გადაეცათ მათთვის ხელზე გასავრცელებლათ და რომ დაინახეს ეს არ მოხერხდა და ბილეთების უმრავლესობა მუშებს ჰქონდა, შეეშინდათ მუშათა აუდიტორიის და ლექცია მოხსნილად გამოაცხადეს. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა პარტიებიდან და განსაკუთრებით კი სოც.-დემოკრატებისაგან იყვნენ გამოჩენილი მოწინააღმდეგენი, როგორიც არიან ამხ. წერეთელი, დევდარიანი, ჯუღელი და სხვები და არ უნდოდათ თავი შეერცხვინათ ახალ ჩამოსულ სტუმრის კიროვის წინაშე,—მკითხველები აშკარად დაინახავენ, თუ რაში არის საქმე და როგორ უნდათ კომუნისტებს მოატყუონ მათი გულუბრყვილო მკითხველები.

კავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი **ს. დობორჯგინიძე.**

## დავეხმაროთ გორს

(შთაბეჭდილებანი)

გურიის ერთ-ერთ თემის (ნიგოითის) მცხოვრებთა შორის შეკრებილ შემოწირულების გორელებისთვის გადასაცემათ გავემგზავრე გორში. გულსაკლავი სურათი გეშლება თვალწინ, როცა ქართლის შუა გულში კოხტად გაშენებულ მამაცურად გამომყურე ლამაზ გორს ხედავ ნანგრევად ქცეულს. ძნელია იმ სევდის მომგვრელ, შავი სურათის აღწერა, როგორსაც წარმოადგენს განადგურებული გორი და სოფლები. 20 თებერვლის მიწის ძვრამ საშინელი უბედურება დაატეხა თავს ჩვენს დიდ ჭირნახულს ქვეყანას, რაც უდრის ეროვნულ უბედურებას ჩვენისთანა პატარა ერისთვის. მართალია ქართველ ერის ისტორიას ახსოვს მიწის ძვრები მე-11 საუკუნეში როდესაც დაიღუპა ქ. თმოგვი, მე-13 საუკუნეში, როდესაც დაიღუპა აწყური. მაგრამ მესამედ განმეორებული მიწის ძვრა თავის სამწუხარო და საშინელი დიდი შედეგებით არ შეედრება წარსულ უბედურებებს. შედიხართ ქალაქში: ლამაზ და განიერ „ერთობის“ ქუჩის ორსავე მხარეს თავს გადმოგყურებს უსახურავო, შუა გაშლილი, ნახევრად დანგრეული მაღალი შენობები. სასტატო სემინარიისა და გიმნაზიის დიდრონი შენობები სხვებთან ერთად დანგრეულ-დაქცეულია, ვერ ხედავ ვერც ერთს ქვის შენობას მთლიანად გადარჩენილს, ირგვლივ საზარელი სურათია. გულშემზარავ სურათს წარმოადგენს ციხის გარშემო უბანი, სადაც განსაკუთრებული ზიანი მიუყენებია მიწის ძვრას. ხსენებული უბანი შენობის ნანგრევებს წარმოადგენს. თვით ძლიერი, „ცამდე

მაღალი გორის ციხე". საშინლად დანგრეულია, რომელსაც მოუტანია ქვეშ მრავალი შენობები. მცხოვრებთ აქა-იქ შეუფარებიათ თავი, ზოგს მთავრობის მოწყობილ „იურტებში", ქოხმახებში ხის კარვებში და ასე. უკვირდებით მცხოვრებთ და მათ სახეზე კითხულობთ ნაღვლიანობას და სასოწარკვეთილებას. დარჩენილებში ხელმოკლეებს, ღარიბ კლასს ხედავ მცხოვრებრებლებისას, რომელთაც ვერ მოუხერხებიათ სადმე წასვლა და თავს დასტრიალებენ დანგრეულ თავიანთ სახლკარს, მრავალი ქალაქიდან გახიზნულნი უბრუნდებიან ისევ ქალაქს და ცდილობენ საკუთარ კერის მობრუნებას. ერობა და ქალაქის თვითმართველობა ეწევა მეტად მხნე და ენერგიულ მუშაობას—მცხოვრებთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. არ შემიძლია მადლობა არ მიუძღვნა ქალაქის თავს, ბ-ნ ბადრიაშვილს, რომელმაც დიდის მადლობით მიიღო ჩვენი მცირედი შემოწირულება (40 ფუთი სიმინდი და 11,864 მ.) და დაწვრილებით დამათვალიერებია ქალაქის სხვადასხვა უბნები და სახელდახელოთ მოწყობილ ბინებში მოთავსებული დაწესებულებები. ბ-ნი ბადრიაშვილი დიდი ხანი არაა მოუწვევიათ ქალაქის მოურავად, მაგრამ მისი საქმიანი ხელი კი ქალაქს უკვე დასტყობია. ენერგიულ მუშაობას ეწევა ინჟენერებისა და ტეხნიკოსებთა კადრი ინჟ. მოსეშვილის თავმჯდომარეობით.

ქალაქს ახალ უბნებად ჰყოფენ და ახალ გეგმაზე აშენებენ. გორი უნდა აღსდგეს, რაც შეიძლება ადრე. ჩვენი საამაყო ბელადის ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვით მის აღდგენას შესძლებს მხოლოდ მთელი საქართველო. დაზარალებულ გორელების ყურადღებაც საქართველოსკენაა მიქცეული. ქართველი ერი მუდამ მგრძნობიერი და ჩაგრულთ შემბრალეა. ქართლი ყოველ გაჭირვების დროს მხნედ და სალ-კლდეთ იდგა საქართველოს მტრებთან ბრძოლაში. იგივეა დღესაც, მიუხედავათ თავს დატეხილ უბედურებისა. საქართველოს რესპუბლიკის ყოველმა კუთხემ, თემმა, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა თავიანთი წვლილის გაღებით სასწრაფოდ უნდა მიაქციონ ყურადღება ქართლის გულს—გორს და მის მახლობელ სოფლებს. სუსხიან ზამთრამდე მცხოვრებთ თუ არ გაუჩნდათ თავშესაფარი, ისინი დაიღუპებიან. გორის უბედურება მეტად საგრძნობი ჰრილობაა ჩვენი რესპუბლიკის მთლიანი სხეულისათვის· ამიტომაც გვჯერა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მცხოვრებთა იმედიანი გამოძახილი მთავრობის დახმარებასთან ერთად მძლავრი და ნაყოფიერი აღმოჩნდება დანგრეულთა აღმშენებლობის საქმეში.

სტ. ნიკოლაიშვილი.

## სამუსიკო მუშაობა სახალხო გვარდიაში

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოებისთვის აშკარაა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც თამაშობს სამხედრო მუსიკა ყველა ხალხის შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციულად მოწყობის საქმეში.

პროფესორ ნ. სოლოვიოვის თხზულებაში „სამხედრო მუსიკა" და კანტნერის „Manuel de muzique nulitaire" ვრცლად არის დასაბუთებული სამხედრო მუსიკის მნიშვნელობა. ჯარში მუსიკა დიდი და ძლიერი საშვალებაა დისციპლინის განმტკიცების, მწყობრ სიარულის და საზოგადოთ სამხედრო საქმის შესასწავლად.

რითმი და ტაქტი, საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობის ფაქტისთაგანია, რომელსაც იმუშავებს ადამიანში მტკიცე ნებას, სულის სიძლიერეს, მთელი ორგანოების მოძრაობას კოორდინაციას, და ეს თვისებები კი დიდ ღირსებას წარმოადგენს სამხედრო სამსახურში. ამას გარდა მუსიკას აქვს კიდევ უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის სულის გაფაქიზება, გამშვენიერება და გაკეთილშობილებაში; მუსიკა ამხნევებს, და სულიერად აძლიერებს, ამაღლებს ადამიანს. ტყუილად არ უთქვამს ერთ ცნობილ ფრანგ გენერალს: ათ გამარჯვებაში, ცხრა მარსელიოზამ მომცაო. ამასთანავე სამხედრო მუსიკა ყველაზე უფრო ახლოს არის ხალხთან. ჯარის კაცი, როცა ათავებს სამსახურს და ოჯახს უბრუნდება, მას თან მიაქვს სოფელში მუსიკალური კულტურა, რომელიც ვრცელდება ჯარში. ამისთვის სამხედრო მუსიკას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი ეროვნული მუსიკა ჯერ კიდევ ვერ არის შესწავლილი და დამუშავებული; მასში კი ბევრი ახალი და ძვირფასი მარგალიტებია გაპნეული; მისი რითმა, ჰარმონია, ძველია, ისეთი თავისებური და საინტერესოა, რომ ევროპიულ მუსიკისათვისაც ბევრის მიცემა შეეძლო. ეს მშვენიერი მუსიკა ზედმიწევნით შესწავლილი უნდა იქნას. ის მისცემს ქართველ კომპოტიზორებს მდიდარ მასალას თავის შემოქმედებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ რთულ და გარდამავალ ხანაში ჩვენმა მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია სამხედრო მუსიკას. მუსიკის საქმის დაყენება და გაძღოლა ჯარის ყველა ნაწილებში მიანდო კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს. ბ. კ. ფოცხვერაშვილის მეთვალყურეობით და მისი პირდაპირი მონაწილეობით მხურვალე მუშაობა სწარმოებდა ამ მხრივ. ამ მუშაობას იარაღათ ბ. ფოცხვერაშვილმა აირჩია სახალხო გვარდიის ცხენოსან რაზმის ორკესტრი. ამ ორკესტრიდან შეიქნა პირველი „თადრო", ის ძირითადი „იაჩეიკა", რომლის ირგვლივ უნდა გაიზარდოს, განვითარდეს და აეგოს ჩვენი ლამაზი მუსიკალური შენობა.

ეს ორკესტრი გადიდებულ იქნა კონცერტიულ შემადგენლობამდე და ბ. მ. კ. ფოცხვერაშვილის, პროფესორ ო. ტ. გარტმანის, კომპოზიტორ ბალანჩივაძის და დირიჟორ მიზანდას თანხლებით გაემგზავრა შარშან ივნისის შუა რიცხვებში ბორჯომში. მთელი ზაფხულის მუშაობა უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. შესწავლილ იქნა ბევრი დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ-კლასიური თხზულებები ასრულებდენ ბეთხოვენის, ვაგნერის, ბერლიოზას, მოცარტის და იტალიელ კომპოზიტორების თხზულებებს. შესწავლილ იქნა 40-დე ქართული პიესები, სპეციალურად შედგენილი. ამ პიესებს შორის არის სიმფონიური პოემები, უვერტიურები, ბალადები დი ჰიმნები. იმართებოდა ადგილობრივ ბორჯომში კონცერტები, გაიმართა აგრეთვე რვა დიდი ხალხური კონცერტი და სპეციალურად მუშებისათვის უფასოთ ორი.

შემდეგ ორკესტრი გაემგზავრა ბაკურიანის ხაზით თვით ბაკურიანამდე. ღია ცის ქვეშ ორკესტრი გზა და გზა უკრავდა სხვა და სხვა პიესებს და ათასობით ხალხი იკრიბებოდა და ყურს უგდებდა. ორკესტრი იყო აგრეთვე ახალ ციხეში და შემდეგ სურამში, მიხაილოვში, გორში, სადაც გამართულ იქნა უფასო კონცერტები. ყველა ამ ადგილებში ერთად რომ ვიანგარიშეთ მსმენელთა რიცხვი ავიდა 300.000-დე. შემოსავალი 120.000 მან. ყველა ხარჯების გამოკლებით, ე. ი. წმინდა შემოსავალი დარჩა 10.000 მან. და მშვენიერი ბიბლიოთეკა.

შემდეგ ნაზიჯათ სახალხო გვარდიის მუსიკისა გამოცხადებულ იქნა მარშების კონკურსი. უკეთესს დაენიშნა პრემია 10.000 მან. ბევრი მარშები დაიწერა. უფრო საინტერესო მარშები გადაღებულ იქნა ორკესტრისათვის. ამ გვარად ორკესტრს აქვს თავის რეპერტუარში 12 მარში·

27 ამა თვეს, სახელმწიფო თეატრში სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების მიერ გაიმართება საღამო, სადაც მოხდება შეჯიბრება მარშებიანათ. ამ საღამოს სახალხო გვარდიის ცხენოსან რაზმის ორკესტრი აჩვენებს ფართო საზოგადოებას იმ დიდ მუშაობის შედეგებს, რომელსაც მან მიაღწია. საღამოს პროგრამა მრავალ ფეროვანია. ასეთი ფართე პროგრამა სრულ შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას დააფასოს სამუსიკო მუშაობა სახალხო გვარდიაში. საზოგადოება გამოსთქვამს მარშებს შესახებ თავის აზრს, ამ აზრის თანახმად ბიურო გამოიტანს გადაწყვეტილებას და გვარდიას ექნება თავისი საკუთარი მარში.

27 ივნისს საზოგადოება დაინახავს, რომ გვარდია არა მარტო შეიარაღებული ფიზიკური ძალაა, არამედ ის ამავე დროს კულტურულ ძალასაც წარმოადგენს.

კ. ჟ—ტი.

## საქართ. წითელი ჯვრის ს-ბის წევრთა წლიური კრება

21 ივნისს ქალთა საბებიო ინსტიტუტში შესდგა მეორე სხდომა საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების წევრთა: თავმჯდომარეობდა ბ-ნი ნ. თავდგირიძე, მდივნობდა ბ-ნი კ. აბაშიძე· მეორე სხდომაზე გამოცხადდა ასამდე წევრი. კრებამ ამ დღეს განიხილა საზოგადოების 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც მთავარ სამმართველოს სახელით მოახსენა სხდომას გამგეობის წევრმა ი. ი. ქუთათელაძემ. მცირე კამათის შემდეგ, ხარჯთ-აღრიცხვა ერთხმად იქნა დამტკიცებული. მოსმენილ იქნა და დამტკიცებული კრების მიერ მცირე დამატებით აგრეთვე მოხსენება საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შესწორებისა და სამი ახალი მუხლის წესდებაში შეტანის შესახებ.

მთავარ სამმართველოს სახელით გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნ მ. ფ. მგალობლიშვილი წინადადებას აძლევს კრებას, რათა მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ნ. ჟორდანია, როგორც მხურვალე მონაწილე და დამხმარე საქართველოს წითელი ჯვრის საქმეებისა დღიდან ამ საზოგადოების დაარსებისა, არჩეულ იქნას საპატიო წევრად. კრება ფეხზე ადგომით და ოვაციით ხვდება ამ წინადადებას და ერთხმად ირჩევს მას თავის საზოგადოების საპატიო წევრად. დასასრულ ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ ოთხი ახალი წევრი მთავარ სამმართველოსი, სამი მისი კანდიდატი, სარევიზიო და საწესდებო კომისიები.

მთავარ სამმართველოში აირჩიეს: ექ. ნ. მელიქიშვილი, ი. ი. ქუთათელაძე, გ. ნ. დიასამიძე და გ. დ. მამათავრიშვილი; მათ კანდიდატებათ: ექ. ი. ელიაშვილი, ექ. ვ. ბერეჟიანი და ექ. ახვლედიანი. სარევიზიო კომისიაში: ექ. შ. მიქელაძე, ალ. წერეთელი და ექ. ქუთათელაძე, მათ კანდიდატებათ: ნ. ყ. თავდგირიძე და ექ. კ. მეუნარგია, საწესდებო კომისიაში: ექ. ვ. ღამბაშიძე, ექ. შ. მიქელაძე, ალ. წერეთელი, რ. ლომინაძე და ექ. მამულია.

## აბასთუმანი

ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორი საშიშროებას წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოთ ტუბერკულიოზი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ავათმყოფობა ყველაზე უფრო გავრცელებულია საზოგადოების ღარიბ ნაწილში. ამასთანავე ისიც კარგად გვესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს კურორტ აბასთუმანს ამ შემთხვევაში. ეს არის ერთად ერთი საშუალება ამ საშინელ სენთან საბრძოლველად და ამ საშუალებასაც მოკლებულია ღარიბი საზოგადოება სახლის პატრონთა თავხედობის მეოხებით. იქნა მიქცეული ყურადღება კურორტ აბასთუმანზე და იქნა არჩეული ადგილობრივი კომისია, რომელმაც შეიმუშავა ნიხრი ოთახებზე და ამით საშუალება მისცა ღარიბ ავათმყოფებს ესარგებლა კურორტით. დღეს კი, აბასთუმანზე, რაღაც ჩვენთვის გაუგებარ მიზეზების გამო, არავითარი ყურადღება არ არის მიქცეული, რითაც სარგებლობენ სახლის პატრონები და დღე-დღეზე უმატებენ ოთახების ფასებს, რის გამო საშუალება ერთმევა ღარიბ ავათმყოფებს ისარგებლონ ერთად-ერთ მნიშვნელოვან კურორტით.

ჩვენ გვაკვირვებს ერთი გარემოება: როდესაც ქალაქში არის დაწესებული ნიხრი, რატომ ასე დიდ მნიშვნელოვან კურორტზე არ უნდა იყოს შემუშავებული ხალხისათვის ხელმისაწვდენი ფასები?

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აბასთუმნის ადგილობრივი გამგეობა და აგრეთვე მთავრობაც მიაქცევს საჩქაროდ ყურადღებას ამ აუტანელ პირობებს.

ამასთანავე უნდა აღენიშნოთის უსუფთაობა, რომელსაც ალაგი აქვს ჩვენს კურორტში. ქუჩებში დაიარება საქონელი, რომელიც ბილწავს იქაურობას, აფუჭებს ჰაერს და ამრავლებს სხვა და სხვა მავნებელ მწერებს. აგრეთვე ქუჩებში არ არის საფურთხებელი, რის გამოც ავათმყოფები იძულებული არიან გააფურთხონ მიწაზე, რითაც წამლავენ ჰაერს.

სხვა ნაკლიც ბევრი აქვს აბასთუმანს, რასაც იმედია მიაქცევს ყურადღებას მთავრობა და ადგილობრივი გამგეობაც.

ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები.

აბასთუმნელი.

## მუშათა შორის

**სასახლის მუშა-მოსამსახურეებში.** 16 ივნისს შესდგა სასახლის უმცროს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ამხ. მ. ჰინჭარაძის თავმჯდომარეობით. პირველ საკითხად გარჩეულ იქნა საკითხი იაფ-ფასიან სურსათ-სანოვაგის გამოწერის შესახებ მუშათა მაგიდიდან. ამ საქმის მოგვარება დაევალა ამხ. გიორ. შუბლაძეს და ბუზოვს. შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული წინადადება სასახლის მუშა-მოსამსახურეებისათვის კასის დაარსების შესახებ, რის ხელმძღვანელობაც დაევალა ბ-ნ სასახლის გამგეს დ. კალანდარიშვილს. შემდეგ განხილულ იქნა ორგანიზაციის ნამუშევარი და აირჩიეს ორი კანდიდატი ამხ. ბერიძე და მგალობლიშვილი. დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული წინადადება, რათა ყველა წევრმა შეიტანონ კავშირში ხვედრი საწევრო გადასახადი.

ვ. ჰინჭარაძე.

## პროვინცია

**თეკლათის თემი** (სენ. მაზ.). სურსათის კრიზისი დღით-დღე მწვავე ხასიათს ღებულობს. მთავრობის დახმარება წვეთია გაჭირვების ზღვაში. სიმინდის მოთხოვნილება ტომრებით ხელში ყოველ დღეს თემის სამმართველოს აწყდება. თემის ხმოსანთა ყრილობამ 11 მაისს მოიწვია სენაკის ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა და შეძლებულ პირთა კრება. შეერთებულ სხდომაზე ხმოსანთა წარმომადგენლებმა გააცნო მათ თემში არსებული საშინელი კრიზისი სურსათისა, აღნიშნეს ამ ნიადაგზე მოსალოდნელი უბედურება და მოუწოდეს ქალაქის ვაჭარ-მრეწველთ და შეძლებულ პირთ აღმოუჩინონ ფინანსიური დახმარება სესხის სახით, კანონიერი პროცენტების ზედ-დართვით, რათა მცხოვრებლები არ გახდენ მსხვერპლი შიმშილობისა და მიეცეთ საშვალება ყანების დამუშავებისა. ორივე მხარე შეთანხმდა აირჩიონ თავიანთ შორის კომისიები, რომლებიც გამოიმუშავებენ დახმარების აუცილებელი და ორივე მხარეთა სავალდებულო პირობებს. ვაჭართა და შეძლებულთა მხრივ წინადადება შემოდის; ვინაიდან ამ კრებას არ ესწრება ზოგიერთი უფრო შეძლებული პირები, მიეცეს მათ საშუალება. ასეთების მონაწილეობით აირჩიონ კომისია, რომელსაც გამოგზავნიან 15 ივნისს. წინადადება მიღებულ იქნა. ხმოსანთა ყრილობამ, ათი კაცისაგან შემდგარი კომისია იქვე აირჩია.

თემში გაჩაღდა პარტიული მუშაობა, „იაჩეიკები" უკვე გაიხსნა სუთი—ექვსი სოფელში. ახლო მომავალში განახლდება აგრეთვე თემის სხვა კუთხეებშიაც. პარტიული ამხანაგები ეწევიან ენერგიულ მუშაობას.

არსებობს აგრეთვე დრამატიული საზოგადოება, რომელიც სისტემატიურად მართავს სახალხო წარმოდგენებს. საზ-ამ დაარსა სახალხო სახლის ფონდი: 1554 მანეთი გაუგზავნა დაზარალებულ გორს; 500 მ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქციის სასარგებლოდ, გამოიწერა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება" ადგილობრივ ნოე ჟორდანიას სახელობის სამკითხველოსათვის. უწევს ფინანსიურ დახმარებას სკოლებს, სამკითხველოს და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს. საერთოდ დრამატ. საზ-ბის მოღვაწეობით ხალხი ძლიერ კმაყოფილი რჩება და, მიუხედავათ ეკონომიურ კრიზისისა, გამართულ წარმოდგენებს ხალხი ბლომათ ესწრება. ხალხში თანდათან იზრდება სრული სიმპატია სახალხო სცენისადმი.

„ახალგაზრდა მოღვაწე."

**ქვედა სიმონეთი.** (პასუხად გაზეთ „კომუნისტი"-ს კორესპონდენტს გალ.ბ—ძეს). გაზ. „კომუნისტი"-ს კორესპოდენტი ბ. გალ. ბ—ძე სწერს:—სოფ. სიმონეთში არსებობს სამკითხველო აკაკი ჰუმბურიძის სახელობაზე; ნამდვილად კი სამკითხველო ქვედა სიმონეთში (ქუთაისის მაზრა) არსებობს არა აკაკი ჰუმბურიძის სახელზე, არამედ—აკაკი წერეთლის სახელობაზე. ამასთანავე იგი ცილს სწამებს იმ ხუთიოდე ინტელიგენტს (ქვედა სიმონეთში), რომლებიც მას მიზანში ამოუღია, ვითომც მათ გაზეთები სახლში მიქონდეთ, რასაც ადგილი არა აქვს. მეც დავეთანხმები ბ-ნ კორესპონდენტს იმაში, რომ გაზეთებს აქ ცოტა მკითხველები ჰყავს. კარგი კი იქნებოდა, რომ ასეთების წერით თავს არ შეიწუხებდეს ბ-ნი კორესპონდენტი და რამეს ახალს გვასწავლიდეს, ან კიდევ თავის ახლობელს—კ. ბარ—ძეს და მის მსგავსებს ცოტა რასმეს შეაგნებინებდეს და ემმაკებს ხელიდან გამოსტაცებდეს.

უყურადღებოთ მიტოვებული.

**წალენჯიხა და „ლაკადა".** ზუგდიდის მაზრის „ლაკადას" (მთა-გორიანი მხარე) საშუალო ადგილად თავისი ბუნებრივი მდებარეობით ითვლება ს. წალენჯიხა. ეს სოფელი მდებარეობს თექვსმეტ სოფელთა შუა ადგილზე, ყველა სოფლებთან დაკავშირებულია გვარიანი სათემო გზებით. წალენჯიხის ასეთმა მდებარეობამ დიდი მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს „ლაკადა"-სთვის. ამ მხარემ ეს სოფელი ბუნებრივათ უნდა მოიხმაროს, როგორც ცენტრი. „ლაკადა" კულტურულად, ზნეობრივათ და სხვ, ძლიერ ჩამორჩენილი მხარეა მთელ საქართველოში. ეს იმით აიხსნება, რომ ეს მხარე უგზოობით მოწყვეტილია ქვეყანას. და ასეთ მხარესთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჰქონდეს საშუალო ადგილას პატარა კულტურული ცენტრი, რომელიც შეაერთებს მას ჩვენი ქვეყნის შეგნებულ მხარეებთან. ამ საქმისათვის უნდა იზრუნოს პირველად წალენჯიხის ინტელიგენციამ, რომელიც აქ, საბედნიეროდ, მრავალრიცხოვანია, მან უნდა ხელი შეუწყოს ზოგიერთ არსებულ კულტურულ დაწესებულებებს და დაარსოს ახალი. წალენჯიხაში ბევრია მოსაგვარებელი საქმე. როცა ეს მოგვარდება, წალენჯიხა დიდ სამსახურს გაუწევს მთელ „ლაკადას".

კ. გ—ია.

**სოფ. გორისუბანი** (რაჭის მაზრა). 7-იდან 13 ივნისამდე ყოველ დღე სწვიმდა. ამ მოკლე დროის წვიმა ზოგან ისეთი საშინელი გამოდგა, რომ გეგონებოდათ—სტიქიამ მოინდომა მთელი სოფლის წალეკვაო. განსაკუთრებით აღსანიშნავია 9 ივნისის წვიმა. ნიაღვარმა მოსტაცა ამავე სოფლის მცხოვრებს ს. ჰელიძეს ერთად-ერთი ქალი, მოსტაცა მრავალი ოთხფეხი საქონელი სხვებს და სხვ. ხალხი მეტათ დაშინდა და ათასი ცრუმორწმუნეობით იწყო მომხდარ ამბების ახსნა; ზოგს აბრეშუმის ჭიისთვის დაუბრალებია, ზოგს ღვთის წყრომათ მიუჩნევია და სხვ. ამის გამო ზოგმა საჭიროთ სცნო აბრეშუმის ჭიის მოსპობა, მოუთხოვიათ არ იმუშაონ პარასკეობით და სხვ. დრო კია, ბოლო მოეღოს ასეთ ცრუ მორწმუნეობას.

მგზავრი.

**ხაშმი.** 20 ივნისს სამსახურის გამო სოფ. ხაშმში წაველი. კომისარმა, ბინის უქონლობის გამო, სოფლის სამმართველოში მიმიყვანა და დროებით საქმის მწარმოებლის ოთახში დამაბინავა.

საქმის მწარმოებელი რომ მოვიდა, —ყვირილი დაიწყო: „რა ნება ჰქონდა კომისარს, რომ ჩემს ოთახში უცხო კაცი შემოუყვანიაო". შემდეგ მე შემეკითხა: „რისთვის მოსულხართ და ვინა ხართო"? მე აუხსენი, რომ მაზრის ერობის აგრონომიულ განყოფილების დავალებით მოვედი, რათა ადგილობრივ მცხოვრებთ ვესაუბრო ბაღ-ვენახების ავათმყოფობაზე და ვასწავლო მის წინააღმდეგ წამლობა. ამაზე მან მიპასუხა; ტყუილად შოსულხართ, ესენი ხაშმელებს არ ესაჭიროება. ვენახების წამლობა ყველამ თქვენზე კარგათ იცისო. მე შევეკითხე—თქვენ ხალხის პირით ლაპარაკობთ თუ ეს თქვენი საკუთარი აზრია თქო, რაზედაც მტკიცე პასუხი მივიღე—ასეთია ხალხის აზრიო.

ცოტა ხნის შემდეგ კომისარს ვსთხოვე ხალხი შეეგროვებინა. შეგროვდა ოცამდე მსმენელი. წავედით აპარატით მახლობელ გლეხკაცის ბაღში. აქ დავათვალიერეთ ხეხილები. საზოგადოთ ხეხილები კარგათ გამოიყურებიან, მაგრამ აქა-იქ ვიპოვენით ვაშლის მუმლი яблоневая моль), ფოთლის ტილი (зеленая тля) და სხვა. ამ ორი კეტეგორიის ვენახის ავათმყოფობის შესახებ გაიმართა საუბარი. ხალხი კმაყოფილი დარჩა. საზოგადოთ ეს საუბარი არ იყო მოკლებული ერთგვარ სარგებლიანობას.

არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე საუბარის დროს, რომ ხაშმელები იმდენად არ გაურბიან კულტურულ მუშაობას, როგორც ეს დაახასიათა პატივცემულმა „სოფლის მწერალმა". ინტელიგენტი ამნაირათ მსჯელობს, ვაზების წამლობა გლეხებმა თქვენზე უკეთ იცის და ხეხილები ჩვენ სრულებით არ მოგვეპოვებაო.

მაზრის ინსტრუქტორი ე. ჩხატარაიშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო გორის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარეს ბ-ნ ი. გაბუნიას, შტაბის წევრთ ვ. ა. დზასოხოვს, კ. სამხარაძეს და იმ გვარდიელთ, რომელთაც გორში და ატენში ბოტანიკურ კვლევაძიების მოხდენის დროს პატივი მცეს და შემაძლებინეს პირნათლად შემესრულებია სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს მუზეუმის დავალებანი.

ლიზა ქიქოძე.


## განცხადებანი

დამაარსებელი და გამგე ყოფილი სრულუფლებიანი

**გიმნაზიის**

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. 3. დ. სამიწისზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე „გამოცდებს": მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით". (2021 8—4)

**ჭანიშვილი არჩილი მიხეილის ძე**

გიმნაზისტი, 18 წლის, მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლია, გავიდა სახლიდგან 9 აპრილს ა. წ. და აქამდის არ დაბრუნებულა, თუ ვინმემ იცის მისი ყოფნის ადგილი, გთხოვთ გვაცნობოთ—გოგოლევის ქუჩა, № 64, ი. ბ. თოდუა. (2055—3—2)

**მეწაღის იარაღები**

ვისაც უნდა ისწავლოს მეწაღეობა, იმათ არ უნდა დაივიწყონ

**სახელოსნო პატრიკიანისა**

სადაც იშოვება სრული კომპლექტი იარაღებისა. იკითხეთ: „სერებრიანი რიადი" № 37, ტ. ი. პატრიკიანი, (2040 3—2)

**რკინის აკვანი**

ახალი, ლამაზი და იყიდება იაფათ, იკითხეთ: „სერებრიანი რიადი" № 37, პატრიკიანცი. იქვე იშოვნება საგზაო კალათი, ვღებულობთ დაკვეთას და შეკეთებას. (2039 3—2)

**იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი**

ზინგერის სისტემისა.

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საიკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 -თ.

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილისით; 2—3 [illegible] საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808 - თ.)

ექიმი

**გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი

**ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი

**კ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანასა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

**ე. მ. მძინარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

**სახაზინო რკინის გზების**

სამოსწავლო განყოფილებას ესაჭიროება

**ორი გამოცდილი ფრებელიჩკები**

საბავშვო ბაღნარებისთვის ხელმძღვანელად ხაშურში და სამტრედიაში. იკითხეთ: მუშტაიდის და ელისაბედის ქ. კუთხე, № 200, ქართული ენის ცოდნა საჭიროა. (2045 3—1)

**ცეკვის სკოლა ი. ა. როზენბერგისა**

**27 წ. არსებობს. 27 წ. არსებობს.**

დაიწყო ზაფხულის სეზონი 29 ივნისიდან. სპეციალურად აზიური, ევროპიული და საბალეტო ცეკვისა. კარგათ სწავლებისათვის ვიძლევი სრულ გარანტიას. მიიღება ბავშვები 5 წლიდან დაწყებული. საერთო ცეკვა: კვირაობით სამშაბათობით და პარასკეობით საღ. 7½ ს. 10 საათ. მიღება ყოველ დღე: დილის 10 ს. საღ. 7 ს. მიხეილის პრ. № 105. სასტუმრო „ვეტცელის გვერდით. (2066 1—1)

21 ივნისს **დავკარგე** ჯიბის წიგნი სადგურზედ,

რომელშიაც მქონდა ორას ხუთი თუმანი ფული, ორი ვექსილი, ბილეთი მიღებული რაჭის მაზრის ზვარეთის საზოგადოების კომისრისგან. მპოვნელს ვსთხოვ ბილეთი და ვექსილები მოიტანოს და ფული თითონ დაიტოვოს. პანასევიჩის ქუჩა, № 13, პახულ ხომასურიძესთან. (2057—1—1)

**კანტორა მ. ლ. ლიუბლინსკისა**

დიდი მთავრის ქ., 34. ტელეფონი 15—40.

დაუთმობს სასოფლო საზოგადოებებს და მეურნეებს მალინოვის კანაფს ძნის შესაკრავ „ხინი კოლოკოლის" მარკისას.

კანაფი საწყობებში განსაზღვრული რაოდენობისაა. (2047—2—2)


საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.